ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი, 2019 №252 (8206) ფასი: 60 თეთრი

## პროკურორმა სალომე ადეიშვილმა პროკურატურა სკანდალურად დატოვა



„პირადი ცხოვრება ვის დაუკავშირო, უფროსობას უნდა შეუთანხმო“

გვ.5

16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

ქართული საბრძოლო ხელოვნება

ჩვენი ღირსებანი




ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი

# „ივანიშვილის შემდეგ ქვეყანაში პირველი კაცი ვანო ჩხარტიშვილია“



გვ.2



„ქართული ოცნების“ ყულაბიდან მიმდინარეობს დაფინანსება, რომ ანა დოლიძეს შეუქმნან პოლიტიკური პარტია... დავით უსუფაშვილი თავიდან ბოლომდე ნაყიდი ყავს „ოცნებას“.

## სანდრო ბრეგაძე: „გიგა ბოკერია „ქართული ოცნების“ ფილიალია“



## გიგლა ბარამიძე: „60%-ს კი არა, ბუს კვერცხებს მიიღებს „ქართული ოცნება“

გვ.3

„ვერა-ვაკის ახალ კორპუსებში ბინების 80% მაღალჩინოსნებს აქვთ ნაყიდი“





## კობა ნარჩემაშვილი: „ოცნება“ საარჩევნოდ გუნდის 70%-ს შეცვლის“

გვ.3

„პარლამენტში ყოფნას ბევრი მდიდარი ადამიანი მოინდომებს“



## „თუ ნაციონალებმა სიტყვა გატეხეს, ამით მხოლოდ „ოცნება“ იხეირებს“

მამუკა გამყრელიძე: „არ მინდა დავუშვა, რომ „ევროპული საქართველო“ ბიძინას თამაშს ითამაშებს“

გვ.4



## ლევან ალაფიშვილი: „პროკურორი ქალი უწყებიდან წამოვიდა, თორემ სისტემა შეიწირავდა“

გვ.4

ISSN 1987-9385

9 771987 938006

**5** მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ 500.000-იან გირაოზე უარი თქვა და ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

**2** გიორგი ბაგრატიონი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა

**6** ბრიტანეთის პოლიციამ სატვირთო მანქანაში 39 ცხედარი აღმოაჩინა

**2** სუსმა ზეგავლენით ვაჭრობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე 2 პირი დააკავა

# „ივანიშვილის შემდეგ ქვეყანაში პირველი კაცი ვანო ჩხარტიშვილია“

## სანდრო ბრეგაძე: „გიგა ბოკერია „ქართული ოცნების“ ფილიალია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე პასუხობს

***– ბატონო სანდრო, გამოდის ინფორმაციები, რომ წინა საარჩევნოდ „ქართულ ოცნებაში“ დიდი დუღილი დაიწყოო. თქვენ, ჩვენს წინა ინტერვიუში მინისტრების ცვლილებებზე საუბრობდით, თუმცა ისიც ითქვა, რომ გახარიას ეკონომიკის მინისტრის გადაყენების უფლება არ მისცეს. რა ხდება, ვერ ინაწილებენ ფულს და გავლენებს და არანაირი პოლიტიკური დაპირისპირება არ არსებობს?***

– პოლიტიკური დაპირისპირება ვერ იარსებებს, იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ გუნდის 80-90% ყოველგვარი პოლიტიკური მიმართულებისა და იდეებისგან დაცლილი ადამიანები არიან. ჩვენ ხომ კარგად ვხვდებით, რომ ეს ადამიანები არანაირი პოლიტიკურ ნიშნით არ არიან შერჩეულები. ეს ადამიანები ძირითადად შერჩეულები არიან მორჩილების მაღალი ხარისხით. არიან ადამიანები, რომლებიც უსიტყვოდ, როგორც ცხვარი დაემორჩილება მწყემს, ისე ემორჩილებიან თავიანთი ხელმძღვანელის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ამიტომ არანაირი პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება.

***– აბა რაზეა დაპირისპირება „ოცნების“ გუნდში?***

– ეს დაპირისპირება არის მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული და დაპირისპირება სკამის გულისთვის. დარწმუნებით გეტყვით, რომ „ქართულ ოცნებაში“ მომავალი საპარლამენტო გუნდის მშენებლობა დაევალა ირაკლი კობახიძეს, თამარ ჩუგოშვილს და მათთან ასოცირებულ ადამიანებს. რა თქმა უნდა, კობახიძისა და თამარ ჩუგოშვილისთვის მართვის სადავეების ხელში ჩაგდებამ ძალიან გააღიზიანა და გაანაწყენა დანარჩენები, რომლებიც დიდი სიმპათიით არ უყურებენ ამ ადამიანებს და, რა თქმა უნდა, არის სერიოზული წინააღმდეგობა. თუმცა „ოცნება“ სწორედ ამ ადამიანებზე აკეთებს აქცენტს.

***– ანუ გამოდის, რომ გახარიას ძალიან შეზღუდული უფლებები დაუტოვა ივანიშვილმა?***

– გახარიას პარტია „ქართულ ოცნებაში“, რა თქმა უნდა, არა აქვს განსაკუთრებული გავლენები. მთავრობაში აქვს და ისიც ეკონომიკურ გუნდში.

***– ეკონომიკურ გუნდშიო, თუმცა მას არ მისცეს ეკონომიკის მინისტრის გადაყენების უფლება. ასე არ არის?***

– ეკონომიკის მინისტრი ვერ შეცვალა იმიტომ, რომ ეკონომიკის მინისტრი არც ბიძინა ივანიშვილს არ ექვემდებარება და არც გახარიას.

***– აბა ვის ექვემდებარება?***

– ის მხოლოდ ვანო ჩხარტიშვილს ექვემდებარება.

***– ანუ, ვანო ჩხარტიშვილს მეტი გავლენა აქვს?***

– ბიძინა ივანიშვილზე მეტი გავლენა არა აქვს, თუმცა ივანიშვილის შემდეგ პირველი კაცია გავლენების მხრივ. განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში ის არის პირველი ადამიანი ბიძინა ივანიშვილის შემდგომ. აქ საინტერესო არის ერთი რამ...

***– რა?***

– ის, რომ, როდესაც „ქართული ოცნება“ საუბრობს ახალი გუნდით მოსვლაზე, რომელიც ძირითადად ლიბერასტულ-სოროსული გუნდია, „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან კარგად იცის, რომ ის დამოუკიდებლად 50-55%-ს ვერ მოიპოვებს.



**„ქართული ოცნების“ ყულაბიდან მიმდინარეობს დაფინანსება, რომ ანა დოლიძეს შეუქმნან პოლიტიკური პარტია... დავით უსუფაშვილი თავიდან ბოლომდე ნაყიდი ყავს „ოცნებას“.**

***– რას გეგმავს, როგორ აპირებს ფონს გავიდეს?***

– ორი ვარიანტია და ახლა ერთს ექსკლუზიურად თქვენ გაგიმხელთ. ყველამ მინდა იცოდეს, რას გეგმავენ. როდესაც კობახიძე საუბრობდა, რომ „ოცნება“ მიიღებს 60%-ს, ის არ გულისხმობდა, რომ „ოცნება“ მიიღებს პროპორციულ არჩევნებში და ნულოვანი ბარიერის პირობებში.

***– აბა რას გულისხმობდა, რაიმე სხვა გეგმა აქვთ?***

– არის მოსაზრება, რომელსაც ლობირებს ირაკლი კობახიძე და მისი გუნდი, რომ შემოიტანონ ე.წ. რეგიონალური პროპორციული არჩევნები.

***– რა იგულისხმება რეგიონალურ პროპორციულ არჩევნებში?***

– ეს არის დაჩეხილი სიები, ასე უწოდებენ ჟარგონზე. რეგიონის მასშტაბით იქნება პროპორციული არჩევნები და შემდგომში აქედან დაითვლება ის მთლიანი ხმები, რომლითაც მოხდება პარლამენტის დაკომპლექტება. თუკი მოხდა რეგიონალური პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარება, მაშინ ჩათვალეთ, რომ ეს იგივეა, რაც მაჟორიტარული არჩევნებით ჩაგიტარებიათ არჩევნები. მაშინ „ქართული ოცნება“ 60%-ს კი არა 70%-საც კი აიღებს.

***– ანუ, ისევ ერთპიროვნული გამარჯვებისთვის ემზადებიან და არანაირი კოალიცია არ განიხილება?***

– ორი ვარიანტი განიხილება, ერთი არის რეგიონალური სიები, რომლის ლობისტიც არის ირაკლი კობახიძე და თამარ ჩუგოშვილი და მათი სოროსული გუნდი, რომლებიც აცხადებენ, რომ არავისთან კოალიცია არ გვჭირდება, მოდით რეგიონალური სისტემით ჩავატაროთ პროპორციული არჩევნები და გამარჯვება გარანტირებული გვაქვს. მეორე ვარიანტად განიხილება ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კოალიცია შექმნას ლიბერასტულ-სოროსულ ძალებთან მომავალ პარლამენტში. მე პირდაპირ გეუბნებით, რომ „ქართული ოცნების“ ყულაბიდან მიმდინარეობს დაფინანსება და აქტიური ქმედებები, რომ ანა დოლიძეს შეუქმნან პოლიტიკური პარტია, რომელსაც გაიყვანენ პარლამენტში, რომელიც „ქართულ ოცნებასთან“ შექმნის კოალიციას. ასევე დავით უსუფაშვილი თავიდან ბოლომდე ნაყიდი ყავს „ოცნებას“.

***– რისი თქმა გინდათ, რომ ანა დოლიძე „ოცნების“ მხარდაჭერით მოქმედებს? „ოცნების“ კადრია?***

– აბა ვისია? ანა დოლიძე არის თავიდან ბოლომდე „ოცნების“!

***– სერიოზულად უპირისპირდება.***

– „ოცნების“ იქნება მომავალ პარლამენტში. ახლა ჩანს, რომ უპირისპირდება. მე ხომ არ გეუბნებით, რომ მათ პარტიაში შედის. ის შექმნის კოალიციას „ოცნებასთან“. ასევე უსუფაშვილის იქნება ამ კოალიციაში. ანუ ეს რას ნიშნავს? „გირჩი“, პირდაპირ გეუბნებით, რომ ნაყიდი ყავს ხელისუფლებას, ეს ხელისუფლების შექმნილი პოლიტიკური პარტიაა...

***– ბატონო სანდრო, ბევრს საუბრობენ, რომ „ევროპული საქართველოც“ იყიდა ბიძინამო...***

– მივდივარ მანდამდე, მაცადეთ.

***– კარგით, დაგაცდით.***

– სწორედ მეორე ვარიანტად განიხილება კოალიცია, სადაც შევლენ ეს ზემოთ ჩამოთვლილი სოროსისტული ძალები.

***– ევროპული იმიჯი რომ მოირგოს „ოცნებამ“?***

– რა თქმა უნდა. სწორედ ამიტომ ძლიერდება სახელისუფლო ყულაბიდან გიგა ბოკერიას პარტია. სააკაშვილი არაფერს მართალს არ ამბობს, მაგრამ ერთ რამეს მართალს ამბობს, რომ გიგა ბოკერია არის „ქართული ოცნების“ ფილიალი. დიახ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გიგა ბოკერია ხელისუფლებს ყავს ნაყიდი! ის არის ამ ხელისუფლების ჩვეულებრივი ვასალი. ნურავინ ნუ შემეკამათება და ნუ მეტყვის, გიგა ბოკერია ხელისუფლებას აკრიტიკებსო.

***– ასეა და...***

– აბა, ბოკერიამ „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის ქება რომ დაიწყოს, ის თავის ელექტორატს შეინარჩუნებს, რომელიც ყავს?! რა თქმა უნდა, მან სპექტაკლში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ხშირად ეს სპექტაკლი დრამატულიც უნდა იყოს. უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ გიგა ბოკერია არის რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლების.

***– ორი ვარიანტი განიხილება და ერთი მაინც გამოვა?***

– რა თქმა უნდა, ასეთი ილუზია არსებობს სახელისუფლებო გუნდში და ვნახოთ, რამდენად გამოუვათ. ანა დოლიძეს რაც არ უნდა პარტიები შეუქმნან და დათო უსუფაშვილს და თინა ხიდაშელს რაც არ უნდა ფულები ატენონ და ხელოვნურად უზარდონ რეიტინგი, მე მეეჭვება, მათ წარმატებას მიაღწიონ საპარლამენტო არჩევნებზე. ერთი რამ ცხადია, რომ „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ უთხრეს, რომ მომავალი სამთავრობო კოალიცია თუ დაგჭირდათ, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შედგეს ირმა ინაშვილთან, ნინო ბურჯანაძესთან ან რომელიმე ასეთი ტიპის პარტიასთან.

***– ვინც პრორუსულ ძალად მოიაზრება?***

– მე ბოკერია უფრო მგონია ოკუპანტების მხარდამჭერი, ვიდრე ეს პარტიები. „ოცნებას“ მიანიშნეს, კალაპოტი საითაც უნდა წავიდეს. ახლა დაიწყება იგივე ოპერა, შეგვიყვანენ მეხუთეჯერ ერთი და იგივე მდინარეში, სააკაშვილი გამოხტება თავისი სიგიჟეებით, რომ მოდის საქართველოში და ასე შემდეგ. მერე გამოვა „ოცნება“ და გვეტყვის, ჩვენ კი ცუდები ვართ, მაგრამ უარესი გემუქრებათო.

***– რამდენად გამოვა ეს სცენარი, მერამდენედ უნდა შევიდეს ჩვენი საზოგადოება ერთი და იგივე მდინარეში?***

– თუ არ შევუშალეთ ხელი, მაშინ ეს სცენარი გამოვა.

***– რომ არ ჩანს საპირწონე ძალა, ვინც ხელს შეუშლის?***

– თუ საპირწონე ძალა არ გამოჩნდება და თუ ხალხი იმ საპირწონე ძალას მხარს არ დაუჭერს, მაშინ ყველას მშვიდობაში მოახმაროს თინა ხიდაშელიც, გიგა ბოკერიაც, გოკა გაბაშვილიც და დანარჩენი ჭუჭყი და ნაგავიც, რომელი ჭუჭყი და ნაგავიც სოროსის ფონდის სარდაფებიდან მოდის და მთელი საქართველო წალეკა. პირადად ჩემთვის, თამარ ჩუგოშვილსა და გიგა ბოკერიას შორის არანაირი განსხვავება არ არის. როგორც გიგა ბოკერიას ეზიზღება ეკლესია და მართლმადიდებლობა, იმაზე უარესად ეზიზღება თამარ ჩუგოშვილს.

***– თუმცა ბოკერია და სააკაშვილი ერთმანეთს ეჯიბრება, ვინ უფრო მეტად ქრისტიანია.***

– ეს დასჭირდათ და იმიტომ, ესენი ხომ ყალბი ადამიანები არიან. ფარისევლები არიან. მათ კარგად იციან, რომ საქართველოს 80-90% ეროვნულად და მართლმადიდებლურად მოაზროვნე ადამიანია და ამიტომ გადმოეწყვნენ ამ ტალღაზე. არ გაგვიკვირდეს, რომ ბოკერიამ და სააკაშვილმა ხვალ ჩოხა-ახალუხში და სანთლით ხელში დაიწყონ ქუჩებში სიარული. ხმები ქართველობაში მართლმადიდებლობაშია და ამიტომ აჭიკჭიკდნენ ამ ენაზე.

# გიორგი ბაგრატიონი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსად დაინიშნა



შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე თბილისის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი, გიორგი ბაგრატიონი დაინიშნა.

გუშინ, 23 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი პირადად წარუდგინა.

– დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი გიორგი ბაგრატიონი არის პრინციპული ადამიანი, პროფესიონალი და კარგი მენეჯერი. ვფიქრობ, ის კარგად გაართმევს თავს ამ სამსახურს. ბევრი კარგი რამ გაკეთდა, ბევრი წინგადადგმული ნაბიჯია და ეს აუცილებლად გაგრძელდება, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან შეხვედრაზე.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამშრომელთა სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება, საპოლიციო ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა კვლავ იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.

ვახტანგ გომელაურმა მადლობა გადაუხადა დეპარტამენტის ყოფილ თავმჯდომარე გიგა ნიკოლეიშვილს, რომელიც ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა დაცვის პოლიციას.

შეხვედრის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი და დაცვის პოლიციის ახალი თავმჯდომარე დეპარტამენტში განხორციელებულ სიახლეებს გაეცნენ.

# სუსმა ზეგავლენით ვაჭრობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე 2 პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ზეგავლენით ვაჭრობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გიორგი გ. და ქარელის მერის წარმომადგენელი დირბის ადმინისტრაციულ ერთეულში სოსლან ქ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გიორგი გ. მოქალაქეს დაჰპირდა, რომ 2.000 ლარის სანაცვლოდ ქარელის მერის წარმომადგენელს დირბის ადმინისტრაციულ ერთეულში სოსლან ქ.-ს საქონლის შეძენის დამადასტურებელ ცნობაში შეატანინებდა ყალბ მონაცემებს მასზე, რომ თითქოსდა სოფელ დირბის მცხოვრებელმა თავის მიწის ნაკვეთზე მოყვანილი 20 ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქტი აღნიშნულ მოქალაქეს მიჰყიდა.

2019 წლის 23 ოქტომბერს ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა მოქალაქეს აღნიშნული ცნობა გადასცა და მის მიერ მოთხოვნილი 2.000 ლარი აიღო, როდესაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიება ზეგავლენით ვაჭრობისა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 339-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით და 341 მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# ბესიკ არღვლიანს ძმის მკვლელობისთვის პატიმრობა შეეფარდა

## „მანქანა არ მივეცი და ჩემი ბრალია ეს ყველაფერი“

მესტიის სოფელ ცხუმარში, ძმის მკვლელობაში ბრალდებულ 48 წლის ბესიკ არღვლიანს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თავად ბრალდებული, რომელიც პროცესზე ადვოკატის გარეშე იმყოფებოდა, აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

როგორც არღვლიანმა აღნიშნა, იგი დანაშაულს აღიარებს.

– დანაშაული მაქვს, მანქანა არ მივეცი და ჩემი ბრალია ეს ყველაფერი. რომ დამეთმო, ეს არ მოხდებოდა, – განაცხადა პროცესზე ბრალდებულმა.

პროკურატურის ინფორმაციით, ბესიკ არღვლიანმა ძმას სასიკვდილო ჭრილობა, ცივი იარაღით ყბისა და გულ-მკერდის არეში მიაყენა.



ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგლა ბარამიძე: „60%-ს კი არა, ბუს კვერცხებს მიიღებს „ქართული ოცნება“

## „ვერა-ვაკის ახალ კორპუსებში ბინების 80% მაღალჩინოსნებს აქვთ ნაყიდი“



მარიამ მჭედლიშვილი

**რა ხდება ქართულ პოლიტიკურ ველზე არჩევნებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე? რატომ ვეღარ გამოვა არჩევნების გაყალბება? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერ გიგლა ბარამიძეს.**

***– 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე ნაკლები დარჩა. თქვენი შეფასებით, რა შეიცვალა ამ დროისთვის პოლიტიკურ მინდორზე?***

– პოლიტიკურ სპექტრში მცირეოდენი ცვლილებებია. ეს მაინცდამაინც პოზიტიური სიახლეები არაა. მთავარი სიახლე არის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთაც პარლამენტი მიიღებს.

ჩვენი პარტიისათვის ბარიერის გადალახვა პრობლემა არ არის. ცვლილებები მარტო ბარიერს არ ეხება. ეს საარჩევნო შესწორებებია, რომლებიც პოზიტიურად მიგვაჩნია. გაჩნდა ახალი მოძრაობები, რომლებიც გადაკეთდება პარტიებად. საერთოდ, პარტიები სოკოებივით მომრავლდება.

მსგავსი მოვლენები აქამდეც გვინახავს. გვახსოვს, როგორ წამოჩიტდა პაატა ბურჭულაძის მოძრაობა, რასაც მოჰყვა მისი ლიდერის გაქრობა პოლიტიკიდან. ჩემი დაკვირვებით, ივანიშვილი სიმძიმის ცენტრს პარლამენტზე გადაიტანს.

***– პარლამენტის მომავალ შემადგენლობაზე?***

– დიახ. მთელი აქცენტი პარლამენტზე ექნება გადატანილი, მაგრამ უმრავლესობას ვერ მოიპოვებს. უმრავლესობა არავის ექნება.

***– ბოლო დროს მმართველი პარტიის მხრიდან დაანონსებული 60% ხომ არ არის იმის მანიშნებელი, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებას აპირებს? ასეთი რეიტინგი მმართველ პარტიას არ აქვს.***

– ალბათ, „ოცნებაში“ ამაზე ოცნებობენ. სწორედ ამის გამო იკლავენ თავს იმისთვის, რომ ნაციონალების დროინდელი სისხლში გასვრილი მოსამართლეები გაიყვანონ.

მორჩილი საკონსტიტუციო სასამართლო, მონა მოსამართლეები ყველა სასამართლოში უნდათ იმისთვის, რომ გაყალბებული არჩევნების შედეგები ვერ გასაჩივრდეს.

მოგეხსენებათ, ჩვენი პარტია ამ მხრივ დაზარალებულია. ჩვენ არაერთგზის გაგვიყალბეს არჩევნები. ჩვენი სიმართლე სასამართლოში ვერ დავამტკიცეთ. სამაგიეროდ, საქართველოს საზოგადოებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩვენგან გაიგეს, თუ როგორ ყალბდება არჩევნები.

***– ფიქრობთ, რომ აღარ გამოვა გაყალბება?***

– ეუთომ ისეთი გამანადგურებელი დასკვნა დადო და ისეთი შენიშვნები მისცა „ქართულ ოცნებას“, რომ ხელისუფლება გაყალბებას ვეღარ გაბედავს. გაყალბების საწინააღმდეგო მთავარი წამალი ამომრჩევლის აქტიურობაა.

***– არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე მისვლა და ხმის მიცემა?***

– რასაკვირველია. მინდა თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მოვუწოდო ადამიანებს, არჩევნების დღეს შეეშვან ფეისბუკზე კაკუნს და მივიდნენ საარჩევნო უბნებზე! ნუ დასხდებით სახლში! რაც ნაკლები ადამიანი მივა ხმის მისაცემად, მით მეტი იქნება გაყალბების შანსი.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ხუჭუჭა კობახიძე კი უნდა შეეშვას ფრუტუნს იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ 60%-ს აიღებს. 60%-ს კი არა, ბუს კვერცხებს აიღებს ეგ პარტია! მმართველ პარტიას მომხრეების რიცხვი უმცირდება, სხვებს კი, პირიქით, გვეზრდება.

დღეს ჩვენთან ოფისში მოდის 200 კაცი, რომელსაც ჩვენს პარტიაში გაწევრიანება უნდა. ეს ახალი ხალხია. კობახიძემ ჯერ 45% დაასახელა, შემდეგ, ეტყობა, თავში ჩაუკაკუნეს და 60% ათქმევინეს. თუ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, 40%-ის ნახევარს ვერ აიღებს „ქართული ოცნება“.

***– ზაფხულში, ირაკლი კობახიძის გადადგომის შემდეგ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მას პარტიაშიც ჩააჩოჩებდნენ. როგორც ჩანს, იგი პარტიაში წინა პლანზე იქნება.***

– პარტიაში შეიძლება იაქტიუროს და მომავალში დეპუტატადაც გაიყვანონ, მაგრამ ფსონს მასზე არ დადებენ. კობახიძის მონაწილეობით გატარებულმა რეფორმებმა გამოიწვია კრიზისი და არეულობა თვითონ „ქართულ ოცნებაში“. ამას მოჰყვა ბესელიას და სხვების წასვლა. ამ კობახიძისა და გავრილოვის გამო ხალხი ივნისში ქუჩაში გამოვიდა. სიმართლე გითხრათ, იმდენი საქმე გვაქვს, მმართველი პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესები ნაკლებად გვაინტერესებს.

***– 2020 წლის არჩევნებისთვის უქმდება საარჩევნო ბლოკები. არსებობს მოსაზრება, რომ მაინც უნდა მოხდეს პარტიების დაჯგუფება. ამაზე რა აზრი გაქვთ?***

– ჩვენ ვიმოქმედებთ დამოუკიდებლად, ჩვენი იდეების მიხედვით. საგარეო პოლიტიკაში ესაა მრავალვექტორული მიდგომა. მიგვაჩნია, რომ დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გარდა, საჭიროა ურთიერთობა რუსეთთან. ამას მოითხოვს ქვეყნის დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა. საშინაო პოლიტიკაში ესაა მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

***– სოციალური მდგომარეობა უმძიმესია.***

– სხვებზე კიდევ უფრო უარესია იმ ადამიანების ყოფა, რომლებსაც ბინებს დაჰპირდნენ და მოატყუეს.

***– ვისზე საუბრობთ?***

– 2012 წელს „ქართული ოცნება“ აცხადებდა, რომ 2016 წელს ბინებით დააკმაყოფილებდა ყველა დევნილს. ეს ხალხი 27 წელიწადია, დევნილობაში იმყოფება. ეს ადამიანები ისევ უბინაოდ არიან. ამ ხალხს უთხრეს, რომ ბიუჯეტში თანხები არ არის. თვითონ ხომ ყიდულობენ ძვირ ბინებს, კაბინეტებში კი უძვირფასესი ტექნიკა და ავეჯი აქვთ დაწყობილი! ჩვენმა პარტიამ გამოთვალა და დაასკვნა, რომ ხარჯების 40%-ით შემცირების შემთხვევაში, შეიძლება დევნილების საბინაო პრობლემის გადაჭრა.

***– ხარჯების დაზოგვას და ოპტიმიზაციას წლებია გვპირდებიან.***

– თუ შემცირდება გაბერილი შტატები, უზომო ხელფასები და ბიუჯეტის ხარჯზე ძვირადღირებული ნივთის ყიდვა, გამოთავისუფლდება ნახევარი მილიარდი ლარი. დევნილების ბინებს 200 მილიონი ყოფნის. ჩვენს მაღალჩინოსნებს ამ ადამიანების მდგომარეობა არ აწუხებთ. მათ მოკლე ხანში დიდი ფული დააგროვეს და თავისთვის ყიდულობენ პრესტიჟულ ძვირ ბინებს.

***– ამაზე მონაცემები გაქვთ?***

– გვაქვს მონაცემები იმის თაობაზე, რომ ვერასა და ვაკეში ახალაშენებულ მრავალსართულიან კორპუსებში ბინების 80% ჩვენს მაღალჩინოსნებს აქვთ ნაყიდი.

# კობა ნარჩემაშვილი: „ოცნება“ საარჩევნოდ გუნდის 70%-ს შეცვლის“

## „პარლამენტში ყოფნას ბევრი მდიდარი ადამიანი მოინდომებს“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი კობა ნარჩემაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო კობა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მიმართ თქვენ რა მოლოდინი გაქვთ, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს ქვეყანაში?***

– ძალიან არაორდინარული არჩევნები გველოდება წინ, რასაც ბევრი რამ განაპირობებს. პირველ რიგში, ეს მაინც საარჩევნო სისტემის ცვლილებას უკავშირდება, პროპორციული არჩევნების შემოღებას და ნულოვან ბარიერს.

ნულოვანი ბარიერი ზოგიერთ პოლიტიკურ ძალაში, უფრო კონკრეტულად კი, გარკვეულ პერსონებში, მოლოდინებს იწვევს, რომ პარლამენტში შესვლა არცთუ რთული იქნება. ყველა ასეთი ლოგიკით უდგება – 15 ათასი ხმის მოგროვება რთული არ უნდა იყოს. ერთი სიტყვით, „გაძრომას“ შეეცდებიან. აქედან გამომდინარე ეს დამოკიდებულება გარკვეულ გარემოებას ნამდვილად შექმნის.

ეს ერთი წელი ახალი პარტიების ცვენის წელიც შეიძლება იყოს. მეორე მხრივ, ხელისუფლება შეეცდება, მატერიალური შესაძლებლობის მქონე პირები მოიზიდოს და პოლიტიკაში შემოიყვანოს. ამ ადამიანებს ხომ არ გაუჭირდებათ ფინანსების დახარჯვა, რათა 12-დან 15 ათასამდე ხმა მოაგროვონ. შემდეგ ხელისუფლება სწორედ ამ პერსონებთან ეცდება პარლამენტში გაერთიანებას და დანაკლისის შევსებას თუნდაც მთავრობის შესაქმნელად.

ეს კი გააჩენს რეალობას, რომ ბევრი მდიდარი ადამიანი მოინდომებს პარლამენტში ყოფნას. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ არაპოლიტიკური პარლამენტი მივიღოთ და სხვა ინტერესები შეიძლება იყოს წამყვანი.

***– რა ინტერესებზე საუბრობთ?***

– როდესაც ადამიანს არ აინტერესებს პოლიტიკა და მისი მიზანი არის სულ სხვა, რაც, მაგალითად, ბიზნესს უკავშირდება. ნულოვანი ბარიერი რისკებს აჩენს. პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებასაც შეიძლება რისკი ახლდეს. შეიძლება ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ შეძლოს მთავრობის ფორმირება, ვერ მოიპოვოს სათანადო ხმები და მოლაპარაკება გაჭირდეს პოლიტიკურ ძალებს შორის.

გერმანიასა და იტალიაში, ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში, უჭირთ პოლიტიკურ ძალებს დიალოგი, შეთანხმების მიღწევა და ეს პროცესი 9 თვეზე მეტხანს გრძელდება, მე ამას სულაც არ გამოვრიცხავ ჩვენთან, საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ მყიფეა დემოკრატია.

ეს კი შეიძლება ჩვენს ეკონომიკას ერთიორად დააწვეს. გერმანიის ეკონომიკა შეიძლება ამას უმკლავდება, მაგრამ ჩვენი ეკონომიკისთვის შეიძლება ეს ძალიან სერიოზული პრობლემა აღმოჩნდეს.

თუმცა, რა თქმა უნდა, პლუსიც არის. პოლიტიკური ბლოკების არარსებობა საარჩევნოდ პოლიტიკური სისტემის განვითარებისთვის კარგია. ეს პოლიტიკოსებს ასწავლის, საკუთარი ადგილი ზუსტად იქ იპოვონ, სადაც მათ ეს ადგილი ეკუთვნით. ან საერთოდ წავიდნენ პოლიტიკიდან – ბლოკებში გაერთიანებულ პერსონებს, რომლებიც არაფერს წარმოადგენენ პოლიტიკისთვის, ჰქონდათ საშუალება, რომ პოლიტიკაში მაინც ყოფილიყვნენ, ერთი სიტყვით, ეტივტივათ.



დღეს პოლიტიკაში არიან პერსონები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი ადგილი მხოლოდ თავშია, არც შუაში, არც ბოლოში, მხოლოდ თავში. როდესაც ასე ფიქრობს პოლიტიკოსი, იქ პოლიტიკური სისტემა ჩაკეტილია და ერთ ადგილზე ბრუნავს.

***– ამ საკონსტიტუციო ცვლილებას საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მხარს დაუჭერთ? მე ვიცი თქვენი პოზიცია შერეულ მოდელთან, მაჟორიტარულ არჩევნებთან დაკავშირებით და ამიტომ გეკითხებით.***

– ვფიქრობ, რომ ეს ცვლილება მაინც წინგადადგმული ნაბიჯია ამ თვალსაზრისით. ეს ხალხის მონაპოვარია.

***– 20 ივნისის მოვლენებს უკავშირებთ?***

– რასაკვირველია, და ვუკავშირებ ასევე იმ დაგროვილ მუხტს, რომელიც ადამიანებში, ზოგადად საზოგადოებაშია. ამდენად თუ პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღებას ეს ხელს შეუწყობს, მე ამას მხოლოდ მივესალმები, მაგრამ კონკრეტულ ცვლილებას კენჭისყრაზე მხარს დავუჭერ თუ არა, წინ განხილვის პროცესია და ვნახოთ. დღეს გარანტიას ვერავის მივცემ, დავუჭერ მხარს თუ არ დავუჭერ.

***– ექსპერტები ამბობენ, რომ ეს მთავრობა საარჩევნო მთავრობაა, რომ ყველა ხელისუფლება გადამწყვეტი არჩევნების წინ ძალოვნებს სწევს წინა პლანზე. რთული არჩევნები გველოდება?***

– კი, რთული არჩევნები გველოდება. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ამ არჩევნებმა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საერთოდ საპარლამენტო მმართველობის მოდელი ჩვენთან.

***– რატომ?***

– სწორედ პოლიტიკური არასტაბილურობიდან გამომდინარე. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ მოსახლეობა საპრეზიდენტო მმართველობის დაბრუნების მოთხოვნით გამოვიდეს. სუპერსაპრეზიდენტო მმართველობა კი ყოველთვის გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან.

***– არჩევნებამდე მთავრობის ცვლილებას ელოდებით?***

– როგორც წესი, გადასასვლელზე ცხენებს არ ცვლიან. ეს არის საარჩევნო მთავრობა და თუ რაიმე კრიზისი არ მოხდა, ალბათ ეს მთავრობა არჩევნებამდე იქნება. თუმცა, ქართული პოლიტიკა, ხომ იცით, მოულოდნელობებით არის სავსე. ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

***– „ქართული ოცნების“ საპარლამენტო გუნდი შეიცვლება თუ 2020 წლის საარჩევნო სიაში ძირითადად იგივე გუნდი იქნება წარმოდგენილი?***

– ვფიქრობ, ამ გუნდიდან ალბათ ძალიან დიდი ნაწილი შეიცვლება. დაახლოებით 60-70% შეიცვლება.

***– ბატონო კობა, პოლიტიკაში რჩებით? 2020 წლის არჩევნებზე სად წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?***

– კი ამბობენ, არჩევნებამდე ცოტა დროა, მაგრამ მგონია, რომ ჯერ ბევრი დროა დარჩენილი. ბევრი გადაჯგუფება ხდება. მეც ვფიქრობ, მაგრამ ეს ყველაფერი სამომავლო საკითხია.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

# ლევან ალაფიშვილი: „პროკურორი ქალი უწყებიდან წამოვიდა, თორემ სისტემა შეიწირავდა“

## „თუ პროცედურა დაიწყო და ცქიტიშვილი პარლამენტში არ მივა, შესაძლოა მისი იმპიჩმენტის საკითხიც კი დადგეს“

იაგო ნაცვლიშვილი

ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი აცხადებს, რომ ანაკლიის პროექტთან დაკავშირებით პარლამენტში არ მივა, რადგან მიიჩნევს, რომ პერფორმანსის დრო არ არის, სანაცვლოდ მზად არის, დეპუტატების კითხვებს ანაკლიის კონსორციუმის ხელმძღვანელმა ლევან ახვლედიანმა უპასუხოს.

ყოფილი პროკურორი სალომე ადეიშვილი კი საგამოძიებო უწყებაში სექსუალურ შევიწროებაზე საუბრობს, ყოფილი პროკურორი შრომითი უფლებების უგულებელყოფაზე, სხვისი შრომის „გავლენიანი ფიგურებისგან“ მითვისებასა და შერჩევით სამართალზეც ამახვილებს ყურადღებას. ეს პირველად ხდება, როცა პროკურატურის თანამშრომელი ასეთ სისტემურ პრობლემებზე ალაპარაკდა.

აქვს თუ არა უფლება მაია ცქიტიშვილს, არ მივიდეს პარლამენტში თუ მას საკანონმდებლო ორგანოში დაიბარებენ და რაზე მიანიშნებს ყოფილი პროკურორის პირდაპირი მინიშნება სისტემურ პრობლემებზე? – ამ საკითხების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი ლევან ალაფიშვილი პასუხობს:

გაგრძელება მე-4 გვერდზე



**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

# „თუ ნაციონალებმა სიტყვა გატეხეს, ამით მხოლოდ „ოცნება“ იხეირებს“

## მამუკა გამყრელიძე: „არ მინდა დავუშვა, რომ „ევროპული საქართველო“ ბიძინას თამაშს ითამაშებს“

ნონა ცაბაძე

**ოპოზიციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

*– ბატონო მამუკა, ბოლო პერიოდია, ოპოზიციის კრიტიკა გვესმის. იმის მაგივრად, რომ წინასაარჩევნო ერთობა შედგეს, ყველა ცალ-ცალკე მიდის. რატომ, რა ხდება?*

– ამ ეტაპზე მოვერიდებოდი მკვეთრი კომენტარების გაკეთებას, რადგან დღეს ჩვენს ცხოვრებაში გადამწყვეტი მომენტია. იმედია, ჩამოვყალიბდებით, ვინ როგორ და რანაირად.

პატარა პარტიებზე არაფერია დამოკიდებული, აბსოლუტურად არაფერი. ჩვენ გვაქვს მოლაპარაკება, ერთგვარი ხელშეკრულება, რომელიც დოკუმენტურად არის შემდგარი ჩვენსა და ნაციონალურ მოძრაობას შორის.

*– ნაციონალებს დამოუკიდებლად გასვლა უნდათ?*

– წავიდა ასეთი ლაპარაკი, რომ შეიცვალა რეალობა და რაღაცა ხომ არ შევცვალოთო. მოკლედ, ველოდებით მათ გადაწყვეტილებას. როგორც ვიცი, შიგნით მიდის საუბრები, მათ პარტიაში, რა ჯობს და ამას ჯერჯერობით არ აჟღერებენ. გუნდში არ აქვთ ერთიანი პოზიცია. არ არის გამორიცხული, ვიღაცას ცალკე უნდოდეს.

რაღაც გადაჯგუფებები ალბათ იქნება. მე პირადად ეს ცვლილება არ მინდა, მირჩევნია, იყოს ისე, როგორც აქამდე იყო, როგორც მოლაპარაკებულები ვართ, რაზეც მოვაწერეთ ხელი, თუმცა ეს ჩვენზე დამოკიდებული არ არის. სხვადასხვა წინადადებები განიხილება. იმედს არ ვკარგავ, რომ სიტყვას არ გატეხს არავინ.

*– ანუ არის მაინც საუბარი, რომ ოპოზიციის ერთი ნაწილი ერთად გავიდეს ამ არჩევნებზე?*

– პატარა პარტიები ვიძახით, რომ ჩვენ ვართ ერთგულები იმ ხელშეკრულების, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებზე შედგა ჩვენ შორის, რომ ჩვენ ყველა ერთად უნდა გავიდეთ.

*– თუმცა შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთები, ვინც შეიძლება სიტყვა გატეხოს?*

– ჩვენგან ეს არ მოხდება. ნაციონალები ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ, დამოუკიდებლად გავიდნენ თუ ჩვენთან ერთად. ის დიდი და ძლიერი პარტიაა.



*– ოპოზიციურ პარტიას, რომელიც არჩევნებზე მარტო გავა, შანსი არ აქვს და ის ივანიშვილის თამაშს ითამაშებს.*

– ცალკე ალბათ არ გავლენ. სხვადასხვა ვარიანტებს განიხილავენ თუ როგორ გავიდნენ. შეიძლება რამე შეიცვალოს. მე მესმის, ეს არის უზარმაზარი პარტია, სადაც 120-ზე მეტი პოლიტსაბჭოს წევრია და ყველას თავისი მოსაზრება და შეხედულებები აქვს.

სხვა სიტუაცია იყო საპრეზიდენტო არჩევნებზე, როცა ერთი ადამიანის არჩევნები იყო. აქ ბევრის არჩევნებია. პატარა პარტიებს, ვინც ვართ ამ ერთობაში, მხოლოდ ერთი პოზიცია გვაქვს, ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ გამარჯვებისთვის. გამარჯვება კი ნიშნავს იმას, რომ, როგორც მინიმუმ, 40% უნდა ავიღოთ. შეიძლება მეტიც. ამ შემთხვევაში 60 კაცი მაინც გადის პარლამენტში, რაც ძალიან ძლიერ ფრაქციას შექმნის.

ჩემთვის არ არის არაფრის მომცემი, რომ გავიდეს 20-30 კაცი და ვიყოთ ერთი უმნიშვნელო ფრაქცია. ეს საინტერესო არ არის. ამ შემთხვევაში გამარჯვებული ისევ „ოცნება“ გამოდის.

*– ხელისუფლების ცვლილება უნდა შეძლოს ოპოზიციამ?*

– დიახ და ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ მთავრობა. აი, ეს არის პირადად ჩემთვის მიზანი. თუ ვიღაცის პარლამენტში შესვლა და უბრალოდ იქ მოკალათებაა მიზანი, ეს ჩემთვის საინტერესო ნამდვილად არ არის.

*– ოპოზიციის დიდ ნაწილს სწორედ ეს უნდა, რომ მოიპოვოს მანდატები.*

– გაერთიანებულ ოპოზიციაში ჯერჯერობით არ მიდის ამაზე ლაპარაკი. სხვადასხვა ვარიანტები და შემოთავაზებებია, ყველა ფიქრობს იმაზე, რომ ყველაზე მოხერხებულად მოხვდეს ამ ერთობაში. ჯერჯერობით გამარჯვებაზე ვართ ორიენტირებული და ვნახოთ.

*– რამდენად დაუშვებს „ოცნება“, რომ გაიმარჯვოს ოპოზიციამ?*

– მე ასე ვიტყოდი, რომ თუ დაირღვა ხელშეკრულებები, თუ მოხდა დაქუცმაცება, დაშლა, თუ მოხდა სიტყვის გატეხა შიგნით, მაშინ ეს ყველაფერი წავა „ოცნების“ სასარგებლოდ.

*– ელოდებით ამას?*

– ნამდვილად არ მინდა, რომ ამას ველოდო. ყოველთვის ფიქრობ ადამიანი რაღაცას ცუდს, მაგრამ დღეს არ მინდა ამაზე ფიქრი. ჯერჯერობით ვჯერდებით, რომ ერთად უნდა გავიდეთ, მაგრამ როგორ ერთად, ეს რთული პროცესია.

*– რატომ არის რთული?*

– ერთი სახელი უნდა გერქვას. ამასაც მნიშვნელობა აქვს. ჩვენში არიან ისეთი პარტიები, რომლებიც ადრე მკაცრი ოპოზიციონერები იყვნენ ნაციონალური მოძრაობის, ახლა მოინდომებენ ისინი, ნაციონალური მოძრაობის სახელი დაირქვან?! ესეც საკითხავია.

ძალიან ბევრი დეტალია შესათანხმებელი და შესაჯერებელი. ჩვენ თანახმა ვართ ამ ერთობის, თუ რამე შეიცვლება, ეს პირადად ჩვენზე დამოკიდებული არ იქნება. დაშლის ინიციატივა ჩვენგან ნამდვილად არ წამოვა.

*– რა პროცესები მიმდინარეობს „ოცნების“ შიგნით? დიდი არეულობა აქვთო.*

– „ოცნების“ შიგნით არეულობა, რა თქმა უნდა, იქნება. საპრეზიდენტო არჩევნებზე სულ სხვა ვითარება იყო და ასე თუ ისე შეთანხმდნენ, ახლა სრულიად სხვა ვითარებაა. ახლა სხვადასხვა ჯგუფები თავისთვის იბრძოლებენ, ეს გასაგებიც არის. თუმცა ეს ძალა მაინც მოახერხებს შეთანხმებას და საბოლოოდ მაინც შეიკვრებიან და წამოვა იგივე ფრაზები, რა ცუდია ოპოზიცია, რა საშიშია ნაციონალური მოძრაობა და ასე შემდეგ. იქნება მუდმივი აპელირება იმ სისხლიან 9 წელზე. ამ 8 წელზე კი, რომელიც ახლა მთავრდება და ვერაფერიც ვერ მივიღეთ, ხმას არავინ ამოიღებს.

*– „ოცნება“ შეძლებს, რომ წვრილ-წვრილი პარტიების დახმარებით დარჩეს ხელისუფლებაში მესამე ვადით?*

– ჩემთვის ძალიან რთული წარმოსადგენია, ვინ უნდა ითანამშრომლოს ოპოზიციიდან „ოცნებასთან“. არის ერთი-ორი პარტია, იგივე მწვანეები, ინაშვილის პარტია, ვისზეც საუბრობენ, ეს გასაგებია, ისინი ისედაც ითვლებიან მის სატელიტებად.

*– ბევრი არც იმას გამორიცხავს, რომ „ევროპულმა საქართველომაც“ ითანამშრომლოს „ოცნებასთან“.*

– იცით, როგორ არ მინდა ამის დაჯერება? ვერ წარმოიდგენთ! არ მაქვს საფუძველი, რომ ეს დავიჯერო. მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ როგორც საპრეზიდენტო არჩევნებზე, ახლაც მოხდება თანხვედრა ჩვენს გაერთიანებასა და „ევროპულ საქართველოს“ შორის, თუნდაც უკვე შიგნით, პარლამენტში. მე სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია.

*– თუმცა პოლიტიკა ისეთი რამ არის, რომ ყველაფერი მოსულა, ბატონო მამუკა.*

– საერთოდ, ცხოვრებაში ყველაფერი მოსულა, მაგრამ იმედი მაინც რჩება, რომ რაღაცა ადამიანობა შენარჩუნებული იქნება.

ყველა პრაგმატულად უნდა მიუდგეს ამ საკითხს. ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ ამ 8 წლის განმავლობაში არაფერი არ შეცვლილა სიკეთისკენ. თუ რამე შეიცვალა, შეიცვალა უარესობისკენ. სრულ ჭაობში ვართ.

გამოდის, რომ ახალი მთავრობაა საჭირო, ახალი სისხლი, ახალი მიდგომები. არ შეიძლება ისე მიუდგე საკითხს, რომ მარტო მე ვიყო კარგად, მე გავხდე მთავრობის წევრი და რაღაც სიკეთეები მივიღო. ხალხისა და ქვეყნისთვის უნდა გააკეთო რაღაც. რადგან თუ გარშემო ჭაობია, შენ კარგად ვერ იქნები, ბაყაყი იქნები ჭაობში!

და რაც უნდა მსუქანი ბაყაყი იყო, მაინც ბაყაყი ხარ. ეს ყველამ გაითვალისწინოს. ამიტომ დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პრაგმატიზმი გაიმარჯვებს ოპოზიციაში და ის პარტიები, ვისაც ეს ცდუნება აქვს, სხვაგვარად შეხედავენ სიტუაციას.

# ლევან ალაფიშვილი: „პროკურორი ქალი უწყებიდან წამოვიდა, თორემ სისტემა შეიწირავდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

*– როგორ აფასებთ მაია ცქიტიშვილის განცხადებას, რომ აღარ აპირებს პარლამენტში მისვლას და „პერფორმანსში მონაწილეობას“? რას ნიშნავს ეს? უკვე პასუხებსაც გაურბის მთავრობის ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით?*



– ოფიციალური პროცედურები თუ დაიწყო, მთავრობის არც ერთ წევრს, პრემიერიდან დაწყებული და ნებისმიერი მინისტრით დამთავრებული, კონსტიტუცია არ ანიჭებს უფლებას, რომ უარი თქვას და პარლამენტში გამოცხადებაზე. შეგახსენებთ, რომ საქართველო გადავიდა მმართველობის საპარლამენტო მოდელზე და ხელისუფლების ყველაზე ლეგიტიმური ორგანო, რომელიც სხვა ორგანოს ანიჭებს ამ უფლებამოსილებას, ეს სწორედ საკანონმდებლო ორგანოა.

თუკი პროცედურები დაიწყო და რომელიმე ანგარიშვალდებულმა ორგანომ, ან მისმა რომელიმე პირმა უარი თქვა ამ ანგარიშვალდებულების შესრულებაზე, ეს არის საფუძველი იმის, რომ შესაძლოა იმპიჩმენტის საფუძველიც გახდეს. თუმცა, კვლავ ვიმეორებ, ეს იმ შემთხვევაში, თუკი დაიწყო პროცედურები. რადგანაც ეს პროცედურები დაწყებული არ არის, რჩება თავისუფლება, რომ ინტერპრეტაციების თუ სიტყვის წამოცდენის საშუალება მისცენ ამ ფაქტს.

მე რომ ვიყო აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მე თვითონ მოვითხოვდი რაიმე ახალი მექანიზმების შექმნას იმისთვის, რომ ამ მოცემულობას, რომელიც დღეს სახეზეა და რომელთან დაკავშირებითაც ბევრი კითხვის ნიშანი და გაუმჭვირვალე პროცესია, ეს გამეხსნა. არსებითად განვითარების ახალ ეტაპზე გადამეყვანა ეს და, შესაბამისად, საზოგადოების დიალოგი საჯარო დიალოგის, ოპონირების თუ საკითხების განხილვის ფორმატში წინ წამეწია ეს პროექტი და გამეუმჯობესებინა ეს პროცესი, რაც პორტის მშენებლობის დაწყებას გულისხმობს.

*– ახსენეთ პროცედურები და ვის ხელშია ამ პროცედურების დაწყების გასაღები, მხოლოდ უმრავლესობის თუ ოპოზიციასაც შეუძლია?*

– ინიცირება უმცირესობასაც შეუძლია, თუმცა მინისტრების და ანგარიშვალდებულთა ორგანოების პირველ პირთა დაბარება ხდება კომიტეტის მეშვეობით და კომიტეტზე ხდება მათი მოსმენა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, სულაც არ ნიშნავს, რომ ცალკეული დეპუტატები, ან დეპუტატთა რაღაცა გაერთიანება არ არის უფლებამოსილი და არ არის აღჭურვილი იმ ლეგიტიმაციით, რომ მთავრობის ამა თუ იმ წევრს როგორც კითხვით მიმართოს, ასევე მოსთხოვოს პასუხი. ეს არის პოლიტიკური კულტურის ამბავი და, შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ მოწვევა შესაძლებელია ამ ფორმატითაც, გარდა ოფიციალური პროცედურებისა. ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს და ეს გამართლებული იქნება პოლიტიკურად.

*– დავაზუსტოთ. თუ ოპოზიციას ექნება ასეთი ინიციატივა, უმრავლესობა მას ვერ ჩააგდებს?*

– რა თქმა უნდა. ჩვენ ნანახი გვაქვს ასეთი რაღაც, იგივე ხაზარაძესთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩაგდების მექანიზმები უკვე აღარ არის. უბრალოდ, ეს არის, რომ ეს ყველაფერი კომიტეტზე მოხდება და არა ცალკე ფრაქციის თუ დეპუტატთა ჯგუფის ფარგლებში.

*– არაერთხელ გვქონია საუბარი პროკურატურის სისტემურ პრობლემებზე. პროკურორმა ქალმა, რომელიც უწყებაში მუშაობდა, თავისი პოსტით, შეიძლება ითქვას, რომ გააშიშვლა იქ არსებული ვითარება. არის თუ არა პოზიტივი, რომ ვიღაცამ ხმა ამოიღო?*

– თავისთავად ისეთი სისტემები, რომლებიც სხვა საჯარო დაწესებულებისგან განსხვავებით უფრო კონსერვატიულები არიან მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, უმთავრეს გამოწვევად რჩება. მხედველობაში მაქვს დახურულობა და საქმიანობის სპეციალური საქმიანობა... რეალურად სხვადასხვა რეფორმების კვალობაზე ვხედავთ, რომ ამ ტიპის დაწესებულებები იქცა ქართული დემოკრატიის შემაფერხებლად და, შესაბამისად, რიგ შემთხვევებში საფრთხეებადაც კი შეიძლება დასახელდეს.

პრაქტიკულად, რაც ამ ორი დღის განმავლობაში მსჯელობა მიმდინარეობს, ეს არის იმის დასტური, რომ პროკურატურის კანონში კოსმეტიკური ცვლილებებია და სისტემური ცვლილებები არ მომხდარა. უწყებას რეფორმა პრაქტიკულად არ შეხებია და, შესაბამისად, დარჩენილია ძველი ინერციით მომავალი პრაქტიკა შიდა მმართველობისა, რომელიც უფრო საბჭოურ პროკურატურას ახასიათებს, ვიდრე დემოკრატიულს. ასე რომ, არა მხოლოდ პროკურატურაშია ამდაგვარი პრობლემები, არამედ ყველა იმ სახელმწიფო დაწესებულებაში, რომელსაც სპეციალური ფუნქცია აქვს. ამიტომ, რეფორმების არსებითად გაუმჯობესების საჭიროება საქართველოს უმთავრესი გამოწვევაა.

*– ანუ, რეფორმები გამჭვირვალობის კუთხით?*

– არა მხოლოდ. სისტემური გაჯანსაღების თვალსაზრისით. იქნება ეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, საკადრო საკითხები, უწყების შიგნით გადაწყვეტილებების მიღება. ყველაფერი ის, რაზეც დგას ეფექტიანი მმართველობა. დემოკრატიულ პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული პროკურატურის მმართველობა და არა საბჭოური მართვის სისტემაზე. ამაზეა საუბარი. სამწუხაროდ, ეს რომ ასე არ არის, ეს თუნდაც ამ ფაქტით დასტურდება.

*– არის თუ არა ეს ისეთი განცხადება, რომელიც უნდა გახდეს არა მხოლოდ ფართო მსჯელობის საგანი, არამედ შესაბამისი ორგანოების მხრიდან შესწავლის საგანი? ალბათ, ამ შემთხვევაში არა პროკურატურის, არამედ სხვა უწყებების მხრიდან?*

– იმის გათვალისწინებით, რომ პროკურატურის როლი განსაზღვრა კონსტიტუციამ და ის არის ყველა შტოს მიღმა, ერთადერთ სწორ და საჭირო გზად რაც მიმაჩნია, ეს არის პარლამენტში იმხელა პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაცნობიერება, რომ დაიწყონ მსჯელობა პროკურატურის და სხვა საგამოძიებო ფუნქციებით აღჭურვილი დაწესებულებების მმართველობითი სისტემის შეცვლისა და გაუმჯობესებისათვის. რამდენად შეესაბამება ის იმ ვითარებას, რომელშიც ვართ. თუნდაც, იმ კონსტიტუციურ მოდელში, რომელშიც ვცხოვრობთ.

მაგალითად, საპარლამენტო რესპუბლიკაში რომ არ არსებობდეს ეფექტური საპარლამენტო კონტროლის მექანიზმები, ეს ხომ წარმოუდგენელია. მაგალითად, პარლამენტის წევრს ხელი არ მიუწვდებოდეს და პარლამენტისადმი ანგარიშვალდებულმა ორგანომ ხელი შეუშალოს ან დაბლოკოს ამა თუ იმ ინფორმაციის მიწოდებას პარლამენტისთვის, ესეც ხომ ანომალიაა საპარლამენტო რესპუბლიკაში. ეს ყველაფერი ხომ იმ ორგანოს მმართველობის ფორმალურ სტილზე მიუთითებს. კარგი მმართველობა მხოლოდ კანონში გაწერილი რეგულაციები არ არის. ამას მოსდევს შიდა ეთიკის თუ სხვა დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც, საბოლოო ჯამში, კრავს და დემოკრატიულად აქცევს ამ ინსტიტუტს.

*– ამით გამოჩნდა ის, რომ პროკურატურაში არსებული სისტემური პრობლემების შედეგად მხოლოდ ჩვენ, რიგითი მოქალაქეები კი არ ვართ დაუცველები, არამედ პროკურატურის რიგითი თანამშრომლებიც?*

– რა თქმა უნდა. ამ განცხადებაში მითითება იყო შერჩევით სამართალზე. წარმოიდგინეთ, რომ როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ მართლმსაჯულების სისტემაზე და ვამბობთ, რომ იქ არის შერჩევითობა, ეს მხოლოდ სასამართლოს პრობლემა კი არა, პროკურატურის პრობლემაც არის. თუნდაც, მაგალითად ის, რომ ერთი ადამიანის მიმართ იდენტურ საქმეზე გამოიყენება აღკვეთის ერთი ღონისძიება და მეორე ადამიანის მიმართ უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიება.

ჩემი აზრით, ეს ყველაფერი განაპირობა იმან, რომ რეალურად, ჩვენი მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვის სისტემა ვერ გახდა პოლიტიკურად ნეიტრალური. სამწუხაროდ, ყველა გადაწყვეტილება, იქნება ეს საკადრო თუ სხვა გადაწყვეტილება, ერთადერთი ნიშნით მიიღება და ეს არის პოლიტიკური ლოიალობა მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ და, ადრე თუ გვიან, ამ პრინციპზე დამყარებული მმართველობა ყოველთვის მთავრდება, როგორ რეჟიმშიც არ უნდა ვითარდებოდეს ესა თუ ის საზოგადოება.

უბრალოდ, საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს იმდენი დრო, რომ ასეთ რაღაცებში დავკარგოთ. ჩვენ გვაქვს კარგი გამოცდილებაც, უფრო მეტი კი ცუდი გამოცდილება, მაგრამ გვყავს საერთაშორისო პარტნიორები, რომლებიც მზად არიან დაგვეხმარონ და ეს დახმარება ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ. არაერთი პროგრამა არსებობდა და არსებობს ამ მიმართულებით. იგივე მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესების, იგივე სამართალდამცავი სისტემებისა თუ პროკურატურის გაუმჯობესების თვალსაზრისით ძალიან დიდი რესურსი დაიხარჯა ქვეყნის გარედან – დონორების სახით, თუ ქვეყნის შიგნით – ბიუჯეტის საშუალებით, გადასახადების გადამხდელების მიერ, მაგრამ შედეგად რას ვიღებთ? იმ სასამართლოს, რომელიც გვაქვს და იმ პროკურატურას, რომლის თანამშრომელმაც თავი იქამდე დააღწია უწყებას, სანამ მას სისტემა შეიწირავდა. ხვდებით, პრობლემის მასშტაბი რამხელაა?!

დახმარება, იქნება ეს ინტელექტუალური, ფინანსური თუ სხვა, აღმოჩნდა პრაქტიკულად ფუჭი. რატომ? იმიტომ, რომ პოლიტიკური ლოიალობა კვლავ ერთადერთ პრინციპი მმართველობის სისტემის.

# პროკურორმა სალომე ადეიშვილმა პროკურატურა სკანდალურად დატოვა
# „პირადი ცხოვრება ვის დაუკავშირო, უფროსობას უნდა შეუთანხმო“
## ყოფილმა პროკურორმა აშშ-ში შეიძლება პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს

საქართველოს პროკურატურის ყოფილმა თანამშრომელმა სალომე ადეიშვილმა სოციალურ ქსელში სკანდალური სტატუსი გამოაქვეყნა.

სალომე ადეიშვილი პროკურატურის სისტემაში 2013 წლის აპრილიდან 2019 წლის 15 ოქტომბრამდე მუშაობდა. მას დიდუბე-ჩუღურეთის პროკურატურის პროკურორის თანამდებობა ეკავა. სალომე ადეიშვილმა უწყება 15 ოქტომბერს, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა.



ფეისბუქის პოსტში ის წერს:

„იმიტომ, რომ 4-5 წლის მერე მოჯადოებულ წრეზე ტრიალებ და ველარ ვითარდები;

იმიტომ, რომ „პატრონის“ და „ჩალიჩის“ გარეშე შუშის ჭერი კი არა, ბეტონის დიდი ფილა გაქვს თავზე შეზრდილი (მინიმალური გამონაკლისებით);

იმიტომ, რომ ყველა საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს (ახლა მით უმეტეს);

იმიტომ, რომ 7-ზე თუ მიდიხარ, უსაქმური ხარ, თუმცა ღამის 3-ზე გასვლაც პრობლემაა – ესე იგი ოფიციალურად დადგენილ დროში ვერ ასწრებ მუშაობას და უუნარო ხარ (იხ. იმღერეთ „ჭრელო პეპელა“);

იმიტომ, რომ დიდ დატვირთვას გაუძელი და ვადები არ გაგივიდა? ესე იგი ათმაგს გაუძლებ;

იმიტომ, რომ ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და სხვა ოჯახი (თუნდაც ბიოლოგიური) არ არსებობს;

იმიტომ, რომ პირადი ცხოვრება ვის დაუკავშირო, ვის ემეგობრო და რა დოზით, ხელმძღვანელობას უნდა შეუთანხმო. სისტემა არ უნდა შეარცხვინო;

იმიტომ, რომ დრესკოდი უნდა დაიცვა, მაგრამ ვინც ამ დაცვას გიკონტროლებს, მათზე წესები არ მოქმედებს;

იმიტომ, რომ უშნოდ ახუნტრუცებული მამაკაცი მენეჯერის (ან გავლენიანი რიგითის) ბლარძუნის გამო კარგი თანამშრომელი გოგონები ან სამსახურიდან მიდიან, ან უხმოდ ითმენენ;

იმიტომ, რომ ყოველი თვის ბოლოს „ღმერთი“ თავის სტატისტიკას ითვლის და რა მნიშვნელობა აქვს, „შესაწირი“ ვარგისია თუ არა;

იმიტომ, რომ იქიდან იმან დაგვირეკა და გვთხოვა/დაგვავალა სამართლებრივი აბსურდი. არ შეასრულებ? შენზე ცუდად აისახება და როცა საჭირო იქნება, გაგიხსენებენ. შეასრულებ? წლების მერე სხვა ხელმძღვანელობა ამოგიქექავს, რა უკანონობაზეც გაქვს ხელი მოწერილი და შენზე მაინც ცუდად აისახება;

იმიტომ, რომ რიგითები დამოუკიდებლები ვართ. შესაბამისად, ჩვენს გადაწყვეტილებაზე საკუთარი კისრით ვაგებთ პასუხს. ჩვენს აი იმ გადაწყვეტილებაზე, წეღან რომ დარეკეს და დაგვავალეს;

იმიტომ, რომ გახმაურებულ საქმეებზე ჟურნალისტებთან გამოსაჩენი არ ხარ, რადგან ამოღამებული თვალები და უძილობით ანგრეული სახე გაქვს სწორედ იმ გახმაურებული საქმის გამო. სამაგიეროდ, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ყოველთვის მოიძებნება ნაშის ვიდიანი თანამშრომელი, რომელიც საჯაროდ ისაუბრებს იმ საქმეზე, რომელსაც არ იცნობს. შენი ოფლით და ნერვების დაგლეჯით დაყენებული შედეგის გამო საყოველთაო აღიარებას ის მიიღებს;

იმიტომ, რომ შენი საქმე სიგიჟემდე გიყვარს, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ, რომ წასვლა გაიძულონ;

იმიტომ, რომ შერჩევითი სამართალია. მსგავს საქმეებზე უპატრონოს პატიმრობას ითხოვ და პატრონიანს განრიდებას უფორმებ;

იმიტომ, რომ ტრენინგებზე და შეხვედრებზე სიტყვებს ვარახუნებთ და რეალობაში რა როგორ კეთდება, არავინ იცის, რიგითის გარდა;

იმიტომ, რომ სისტემას საკუთარი თანამშრომლის ზიზღი აქვს და ჩასაფრებულია, არიქა, ფეხი გადაუბრუნდესო;

იმიტომ, რომ სპეციალიზაცი(ებ)ის გამო ლამის ყველა საქმე შენია, მაგრამ სამართლიან გადანაწილებაზე არავინ ფიქრობს;

იმიტომ, რომ ზოგი სამართლებრივ საკითხებზე იჭეჭყავს ტვინს და ზოგი იმაზე, ხელფასით ოქროს ნივთები იყიდოს თუ ვერცხლის, რომელი ფეხსაცმელი ჯობია, როგორი მაკიაჟი გაიკეთოს და ვინაა გოიმი. ხო, ხელფასი ერთი და იგივეა;

იმიტომ, რომ ერთხელაც არავის მოაფიქრდება, უბრალო სიტყვიერი მადლობა გითხრას იმ თავდადებისთვის და სიყვარულისთვის, რასაც საქმისადმი იჩენ. აქ სისტემისადმი „თავდადება“ ფასდება;

იმიტომ, რომ თმის ფერის ცვლილებით, რატომღაც შენი პროფესიონალიზმი ქვეითდება. მეცნიერებმა დაადგინეს;

იმიტომ, რომ არ დასჭირდეთ, თორემ საქმეში გამომძიებლის შეცდომა, სასამართლოს გადაწყვეტილება, მოწმის „გადაბრუნება“, მტკიცებულებების ბუნებრივი არარსებობა, გლობალური დათბობა, ორივე მსოფლიო ომი, სამოთხიდან ადამიანების გამოდევნა შენი ბრალია;

იმიტომ, რომ წლების განმავლობაში განუწყვეტელ უძილობას, სტრესს, ლანძღვა-გინებას, წყევლას, მუქარას, ვადებზე ნერვიულობას, უჭმელობას, შეურაცხყოფას, დამცირებას, შენი ქვემდგომი სისტემის ჭკუაზე სიარულს, უსამართლობას, უუნარობას, როგორ ვერ უძლებ! რატომ ითხოვ ადამიანურ პირობებს? რატომ ითხოვ თანაბარ გადანაწილებას? რატომ ითხოვ კადრის დამატებას? თქვენ ხომ ისედაც საქმე არ გაქვთ!

იმიტომ, რომ სხვაგან გადასვლა თუ გინდა, ჩუმად უნდა მოაგვარო, თუ არა და დაგბლოკავენ;

იმიტომ, რომ უსამართლობას აპროტესტებ? არ მოგწონს? დაწერე განცხადება და წადი!

იმიტომ, რომ რაც გაძლებინებს, ის რამდენიმე ადამიანია, ვინც აქ იპოვე. ქვეყნის განუვითარებელი ეკონომიკის შენნაირი მსხვერპლი, წასასვლელი რომ არ აქვთ. იმიტომ, რომ მათ იმედი და მაგალითი უნდა მისცე! ჭაობიდან ამოსვლა შესაძლებელია!

პ.ს. არადა კონსტანტინე გამსახურდიამ დაწერა და დიპლომ(ებ)ი მაქვს“.

***

გუშინ, 23 ოქტომბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტის კითხვას პროკურორ სალომე ადეიშვილის სკანდალურ განცხადებასთან დაკავშირებით ასე უპასუხა:

– ყველა ის შემთხვევა სექსუალური შევიწროების, ნეპოტიზმის უნდა იყოს გამოძიებული. დაველოდები პროკურატურის რეაგირებას ამ საკითხზე, თუ ეს სიმართლეა, ეს არის მიუღებელი, თუმცა პროკურატურა ამ ქვეყანაში დამოუკიდებელი უწყებაა და უნდა გააკეთოს განმარტება ამის შესახებ“.

გუშინვე საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ სალომე ადეიშვილის სკანდალურ ბრალდებებთან დაკავშირებით სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.

„საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება 2019 წლის 22 ოქტომბერს ყოფილი პროკურორის სალომე ადეიშვილის მიერ სოციალურ ქსელ ფეისბუქის მეშვეობით გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით.

გენერალური ინსპექცია დეტალურად შეისწავლის განცხადებაში მითითებულ ყველა გარემოებას და მოახდენს შესაბამის სამართლებრივ რეაგირებას“ – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

***

მოითხოვს თუ არა ყოფილი პროკურორი პოლიტიკურ თავშესაფარს? კურიერმა გაარკვია, რომ ადეიშვილი არ არის ერთადერთი პროკურორი ქალი, რომელიც, სისტემური პრობლემების გამო, პროკურატურასთან ერთად ქვეყანას ტოვებს.

სალომე ადეიშვილმა აშშ-ის ვიზა კიდევ ერთ პროკურორ ქალთან ერთად აიღო და არ არის გამორიცხული, მათ პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვონ.

ამის შესახებ კურიერთან თბილისის პროკურორის ყოფილი მოადგილე და სალომე ადეიშვილის ერთ-ერთი რეკომენდატორი გიორგი გაბოძე საუბრობს.

გაბოძე ამ დროისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლებრივი სისტემის განვითარების კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელია და ადასტურებს, რომ სისტემაში პრობლემები ნამდვილად არსებობს.

– მასთან ერთად სხვამაც აიღო ვიზა და მე არ მინდა ვივარაუდო და ვიფიქრო, რომ ეს სალომემ თავშესაფრის მიღების გამო გააკეთა. მე ვადასტურებ, რომ სამართალდამცავ ორგანოებში და არამხოლოდ პროკურატურაში ასეთი პრობლემები არსებობს და ამ პრობლემებს მიხედვა უნდა, – აღნიშნა გიორგი გაბოძემ.

# მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ 500.000-იან გირაოზე უარი თქვა და ირაკლი ოქრუაშვილი პატიმრობაში დატოვა

გუშინ, 23 ოქტომბერს, თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბრალდებულ ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის 500.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შუამდგომლობა დააყენა.



სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოქრუაშვილის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა ძალაში დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლავრენტი მაღლაკელიძემ გამოაცხადა.

ოქრუაშვილის მიმართ შეფარდებული პატიმრობის ძალაში დარჩენას ითხოვდა ბრალდების მხარე, ვინაიდან მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე კვლავ არსებობს.

აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარე არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ საქმეზე მხოლოდ პოლიციელები არიან მოწმეები. შესაბამისად, მათზე ოქრუაშვილი ზეგავლენას ვერ მოახდენდა. ადვოკატმა გირაოსთან ერთად, შუამდგომლობაში სხვა შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენებაც მოითხოვა.

შემდეგი სასამართლო სხდომა 29 ოქტომბერს, 12:00 საათზე გაიმართება.

# გრიგოლ ივანეიშვილს 12 წელი მიესაჯა, თეიმურაზ ჩოჩუას – 7 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლომ წყალტუბოს საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი, რომელსაც გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას ედავება და ამავე საქმეზე დაკავებული ვაკის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ჩოჩუა, რომელსაც ქრთამის აღებაში დახმარება ედება ბრალად, დამნაშავედ ცნო.



როგორც პროკურორმა ელიზბარ გოზალიშვილმა განაცხადა, გრიგოლ ივანეიშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ხოლო თეიმურაზ ჩოჩუას – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელი საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნა განესაზღვრა, 4 წელი კი პირობითი.

– სასამართლოს მიერ სრულად იქნა გაზიარებული ბრალდების მხარის პოზიცია და ორივე ბრალდებული ცნობილი იქნა დამნაშავედ იმ კვალიფიკაციით, რასაც ითხოვდა ბრალდების მხარე.

თეიმურაზ ჩოჩუა ცნობილ იქნა დამნაშავედ ქრთამის აღებასა და დახმარებაში. მას გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და სასჯელის სახით განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 3 წელი განესაზღვრა საპატიმრო დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 4 წელი განესაზღვრა პირობით. ასევე განესაზღვრა ჯარიმა და ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება.

რაც შეეხება გრიგოლ ივანეიშვილს, ის ასევე ცნობილი იქნა დამნაშავედ დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში და სასჯელის სახედ განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, მას 2 წლის ვადით ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება, – განაცხადა პროკურორმა.

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილი სუს-მა 25 იანვარს დააკავა. გამოძიება მას განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას ედავება. ამავე საქმეზე ვაკის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ჩოჩუა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 26 იანვარს ქრთამის აღებაში დახმარების ბრალდებით დააკავა. ორივე დაკავებულს ბრალი სუს-ში 26 იანვარს წარედგინა.

გამოძიების ინფორმაციით, თეიმურაზ ჩოჩუამ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გრიგოლ ივანეიშვილს დააკავშირა უცხოელი ბიზნესმენი, რომელიც ქალაქ წყალტუბოში მდებარე საკრებულოს ყოფილი შენობის შესყიდვით იყო დაინტერესებული.

გრიგოლ ივანეიშვილი უცხოელ ბიზნესმენს აღნიშნული შენობის წინასწარ შეთანხმებულ ფასად აუქციონზე გატანას და აღნიშნული აუქციონის გზით ხსენებული ქონების შესყიდვაში დახმარებას დაჰპირდა, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით 250.000 ლარის გადახდა მოსთხოვა. თავის მხრივ, თეიმურაზ ჩოჩუამ გრიგოლ ივანეიშვილს დახმარება გაუწია თანხის გადახდის გარანტად, უცხოელი ბიზნესმენის მიერ დაფუძნებული კომპანიის 16%-იან წილის ივანეიშვილის ნდობით აღჭურვილი პირის საკუთრებაში გადაცემასა და 250.000 ლარის ქრთამის სახით აღებაში.

# საპატრიარქოს საავადმყოფოდან პაციენტი თამაზ აივაზოვი დაიკარგა
## „ხელში ედგა კათეტერი, ვერ ვპოულობთ...“

უკვე მეცხრე დღეა, ვერ ხერხდება დაკარგული 63 წლის მამაკაცის პოვნა.

თამაზ აივაზოვს საპატრიარქოს სამედიცინო ცენტრში კუჭის ოპერაცია გაუკეთეს, 3 დღეში კი პაციენტი პალატიდან გაუჩინარდა.

საქმეში ჩართულია პოლიცია. აივაზოვის ოჯახი კლინიკის პასუხისმგებლობაზე საუბრობს და იმ შემთხვევაში, თუ დაკარგული მამაკაცი უახლოეს პერიოდში არ გამოჩნდა, საავადმყოფოს დაცვის წარმომადგენლების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვენ.

საპატრიარქოს სამედიცინო ცენტრში მომხდართან დაკავშირებით კომენტარზე უარს ამბობენ.

– პაციენტი გაიპარა, ხელში ედგა კათეტერი, ვერ ვპოულობთ... ექიმმაც თქვა, შევედი და იქ აღარ იყოო. დაცვას ვუთხარი, სად წავიდა-მეთქი და არ ვიციო... – აცხადებს დაკარგული მამაკაცის ნათესავი.



მისი თქმით, თუ უახლოეს მომავალში მამაკაცის პოვნა ვერ მოხერხდა, ისინი კლინიკას უჩივლებენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სისხლის სამართლის გამოძიება 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# საზარელი ავარია ზუგდიდში
## 1 ადამიანი დაიღუპა, 3 დაშავდა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაწულუკუში ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანი ემსხვერპლა. დაშავდა სამი პირი.

შეჯახების შედეგად ერთ-ერთ ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა.

დაშავებულები ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

კლინიკის სამედიცინო მენეჯერმა სულხან ორჟონიამ „ლაივპრესს“ უთხრა, რომ სამივეს მდგომარეობა მძიმეა. ორი ქალი მართვით სუნთქვაზე იმყოფება.

– უტარდებათ შესაბამისი კვლევები და მკურნალობა. ჯერჯერობით კონკრეტულ დიაგნოზზე ვერ გესაუბრებით, – აღნიშნა სულხან ორჟონიამ.

**მალამო „მენტორი პირველი“**

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

**სპრეი მენტორი 7**

**გრიპის, ალერგიის, გაციების დროს, ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად მცენარეებისაგან შექმნილი საუკეთესო ანტიალერგიული სამკურნალო საშუალება სპრეი „მენტორი 7“. გამოყენების წესი: გავათავისუფლოთ ცხვირი არხებიდან გამონადენით, შევისხუროთ წამალი სპრეი ტუბის საშუალებით. აუმჯობესებს სუნთქვას, თანდათანობით მცირდება და წყდება გამონადენი ცხვირიდან. შეინახეთ გრილ ადგილას.**

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# პუტინმა და ერდოღანმა 10-პუნქტიან შეთანხმებას მოაწერეს ხელი



სოჭში თურქეთისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა გაიმართა, რომელიც 6 საათისა და 20 წუთის განმავლობაში გაგრძელდა.

რეჯებ თაიპ ერდოღანი და ვლადიმერ პუტინი მთელი ამ დროის განმავლობაში პირისპირ საუბრობდნენ. მათ 10-პუნქტიან შეთანხმებას მიაღწიეს, რომლებიც ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა წაიკითხეს.

შეთანხმების თანახმად:

1. ორივე მხარე თანხმდება, რომ მხარს უჭერენ სირიის ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნებას, ასევე თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

2. მხარეები ხაზს უსვამენ თავიანთ მზადყოფნას, ებრძოლონ ტერორიზმს მის ყველა გამოვლინებასა და ფორმაში და წინააღმდეგობა გაუწიონ სეპარატისტულ სწრაფვებს სირიის ტერიტორიაზე.

3. ამ კონტექსტში, არსებული სტატუს-კვო, ოპერაცია „მშვიდობის წყაროს“ რაიონში, თელ-აბიადიდა და რას ალ აინის შორის, შენარჩუნდება.

4. ორივე მხარე ადასტურებს ადანის შეთანხმების მნიშვნელობას. რუსეთის ფედერაცია ხელს შეუწყობს ადანის შეთანხმების განხორციელებას თანამედროვე გარემოებებში.

5. 2019 წლის 23 ოქტომბრის 12:00 საათიდან, სირია-თურქეთის საზღვრის სირიულ მხარეს, ოპერაცია „მშვიდობის წყაროს“ ზონის გარეთ, შევლენ რუსეთის სამხედრო პოლიციისა და სირიის სასაზღვრო სამსახურის ძალები. ისინი ხელს შეუწყობენ ქურთების ძალებისა და მათი შეიარაღების გაყვანას, სირია-თურქეთის საზღვრიდან 30 კილომეტრის მოშორებით, რომელიც უნდა დასრულდეს 23 ოქტომბრის 00:00 საათიდან, 150 საათის შემდეგ. ამ მომენტიდან დაიწყება რუსეთ-თურქეთის ერთობლივი პატრულირება, საზღვრიდან 10 კილომეტრის სიღრმეში. დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, მშვიდობის წყაროს ოპერაციის რაიონიდან, გარდა ქალაქ ქამიშლის.

6. ქურთების ყველა დანაყოფი და მათი შეიარაღება უნდა გამოვიდეს მანბიჯიდან და თალ რიფათიდან.

7. ორივე მხარე მიიღებს აუცილებელ ზომებს ტერორისტული ელემენტების აღმოფხვრისა და ინფილტრაციისთვის.

8. სირიაში ლტოლვილთა უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის ხელის შესაწყობად ერთობლივი ძალისხმევა იქნება მიღებული.

9. აღნიშნული მემორანდუმის მიმოხილვისა და კოორდინაციისთვის შეიქმნება ერთობლივი მექანიზმი მონიტორინგისა და ვერიფიკაციისთვის.

10. ორივე მხარე განაგრძობს სირიის კრიზისის პოლიტიკური გზით გადაჭრის მექანიზმის ძიებას ასტანის მექანიზმის ფარგლებში და მხარს დაუჭერენ საკონსტიტუციო კომიტეტის საქმიანობას.

## კიევის ცენტრში ყუმბარა აფეთქდა
### 2 ადამიანი დაიღუპა




კიევის ცენტრში, პუშკინსკის ქუჩაზე მომხდარი ხელყუმბარის აფეთქების შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა.

ფეისბუქზე გამოქვეყნებული მასალის თანახმად, ორი მამაკაცი ბარის გარეთ საუბრობდა, როდესაც ყუმბარა აფეთქდა. თვითმხილველის ვარაუდით, მამაკაცები ყუმბარას ამოწმებდნენ. კიდევ ერთმა ქალმა, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, მრავლობითი დაზიანებები მიიღო.

საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს.

## უილიამ ტეილორი კონგრესის წინაშე წარდგება



აშშ-ის კონგრესი აგრძელებს გამოძიებას, რომლის შედეგადაც უნდა გადაწყდეს, გამოუცხადონ ტრამპს იმპიჩმენტი თუ არა.

ამჯერად კონგრესის წინაშე უკრაინაში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი უილიამ ტეილორი წარდგება. მან სახელი გაითქვა იმით, რომ სიგიჟე უწოდა ტრამპის გადაწყვეტილებას უკრაინისთვის სამხედრო დახმარების შეჩერების შესახებ.

## ბრიტანეთის პოლიციამ სატვირთო მანქანაში 39 ცხედარი აღმოაჩინა
### მანქანა ბულგარეთიდან ჩავიდა




ბრიტანეთის პოლიციამ სატვირთო მანქანაში 39 ცხედარი აღმოაჩინა. სავარაუდოდ, მანქანა ბულგარეთიდან ესექსის საგრაფოში ოთხშაბათს ჩავიდა.

პოლიციის ცნობით, დაკავებულია სატვირთოს მძღოლი, რომელიც 25 წლისაა და ჩრდილოეთ ირლანდიიდანაა.

– ჩვენ ვცდილობთ, მსხვერპლთა ვინაობა დავადგინოთ, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება, – განაცხადა ესექსის პოლიციის ხელმძღვანელმა.

გარდაცვლილთა შორის ერთ-ერთი თინეიჯერია.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ტვიტერში დაწერა:

„შეძრწუნებული ვარ ესექსში მომხდარი ტრაგედიით. რეგულარულად ვიღებ ცნობებს მომხდართან დაკავშირებით. ჩემი ოფისი მჭიდროდ თანამშრომლობს ესექსის პოლიციასთან, რომ დავადგინოთ, რა მოხდა.

ჩემი ფიქრები არის მათთან, ვინც სიცოცხლე და საყვარელი ადამიანები დაკარგა.“

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

## ამერიკაში მწვანე ლეკვი დაიბადა



ამერიკის ქალაქ კანიონში ძაღლმა გააჩინა ლეკვი, რომელსაც მწვანე ლაქები აქვს.

სამი წლის დოგის პატრონმა კედი უილიამსმა განაცხადა, რომ სულ რვა ლეკვი დაიბადა. თავდაპირველად მან იფიქრა, რომ ყველა შავი იყო, თუმცა მათი ყურადღებით დათვალიერებისას აღმოაჩინა, რომ ერთს მეტად უჩვეულო შეფერილობა ჰქონდა. ამ უცნაურ ფერს ცხოველის მდგომარეობაზე გავლენა არ მოუხდენია.

როგორც გაირკვა, ამ მოვლენის მიზეზი ბილივერდინის ნაღვლის მწვანე პიგმენტი გახდა, რომელმაც ბეწვი მწვანედ დედის საშვილოსნოში შეფერა. სავარაუდოდ, მწვანე შეფერილობას ლეკვი მოკლე დროში დაკარგავს.

## სინდი კროუფორდის ქალიშვილის შიშველმა ფოტომ თაყვანისმცემლები გააოგნა



ცნობილი მოდელის სინდი კროუფორდის ქალიშვილმა, ამერიკელმა სუპერმოდელმა კაია გერბერმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა სელფი, რომელშიც დედიშობილაა გადაღებული და ამით თაყვანისმცემლები გააოგნა.

ფოტოზე გოგონა სარკის წინ პოზირებს. მას ტანზე არ აცვია არაფერი. კისერზე კი რამდენიმე ოქროს წვრილი ჯაჭვი უკეთია.

თაყვანისმცემლების უმრავლესობა აღფრთოვანებული დარჩა გერბერის გარეგნობით, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც მოდელი გააკრიტიკეს.

– შენი ტელეფონი შენი სხეულის ნახევარია, – დაწერა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– მგონი თმები გაგილიავებია, – დაწერა მეორემ.

– ისე გამოიყურები, თითქოს, მაქსიმუმ, ათი წლის იყო, – დაწერა ფოტოსურათის კომენტარში მესამემ.

## პაპარაცებმა კირა ნაიტლის ნერვული აშლილობა დამართეს



ბრიტანელმა კინომსახიობმა კირა ნაიტლიმ განაცხადა, რომ მას პაპარაცების გაუთავებელი დევნის გამო ნერვული აშლილობა დაემართა.

კინოვარსკვლავის თქმით, ეს მას 22 წლის ასაკში დაემართა.

– იმ დროს ცნობილი ადამიანების, განსაკუთრებით ქალების ნეგატიური ხასიათის ფოტოსურათების ფასმა საგრძნობლად აიწია. ამიტომ, თუ თქვენ ფსიქიკური აშლილობა არ გქონდათ, ისინი ცდილობდნენ, აეძულებინეთ ისეთი რამე გაგეკეთებინათ, რასაც სწორედ ფსიქიკური აშლილობის მქონე გააკეთებდა და მაშინ თქვენზე მოპოვებული მასალის ფასი საკმაოდ გაიზრდებოდა, – განაცხადა კირა ნაიტლიმ

მან გაიხსენა, რომ ერთხელ მისი მანქანა გზიდან გადაიყვანეს, რის შემდეგაც ის ფოტოგრაფებს მოკვლით დაემუქრა. მსახიობმა აღნიშნა, რომ „კარიბის ზღვის მეკობრეების“ შემდეგ ის თითქმის ორი წელი ფილმში აღარ გადაუღიათ, ხოლო დაბრუნების შემდეგ მას მაღალბიუჯეტიან პროექტებში მონაწილეობა აღარ სურდა, ვინაიდან ველარ უმკლავდებოდა იმ პოპულარობას, რომელიც მათ მისთვის მოჰქონდათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**გივი ჭყოიძის ოჯახი** ღრმა სიყვარულითა და თანაგრძნობით ულოცავს **ემა თაფლაძეს** მეორე შვილიშვილის ამქვეყნად მოვლენას. გაზრდილიყოს ჯანმრთელი და საამაყო ქალი. დიდებულადაა ნათქვამი – ეს ორი და სხვა მრავალი.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

# განცხადებები

**იყიდება**

● იყიდება მსხმოიარე ვენახი 0,5 ჰექტარი, ვენახში არის ჩინურის, თავკვერის და ალადასტურის ჯიშის ყურძენი. თბილისიდან 35 წუთის სავალზე, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში. ნაკვეთთან ახლოს გადის გზა, წყალი, გაზი და სინათლე. გამოდგება მარნის მოსაწყობად. 1 კვ.მ ფასი 12 ლარი. ტელ: 593 127337; 593 515603.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ჩემპიონთა ლიგაზე ფავორიტებმა საქმე გამოიკეთეს



### ა ჯგუფი

**ბრიუგე-პსჟ 0:5**

**ბრიუგე. იან ბრეიდელი**

0:1 იკარდი (7), 0:2 მბაპე (61), 0:3 იკარდი (63), 0:4, 0:5 მბაპე (79, 83)

პსჟ-მა სტუმრად ბრიუგე არ დაინდო და 5:0 გაანადგურა. ანგარიში მაურო იკარდიმ გახსნა, რომელმაც პსჟ-ში ზედიზედ მე-4 მატჩში გაიტანა. არგენტინელმა ფორვარდმა მე-2 ტაიმში დუბლიც გაიფორმა, ხოლო კილიამ მბაპემ კი ჰეთ-თრიქი შეასრულა და ტურნირზე 16 გოლის გამტანი ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია – 20 წლის და 306 დღის. აქამდე რეკორდი მესის ეკუთვნოდა.

**გალათასარაი-რეალი 0:1**

**სტამბული. ტელეკომი**

0:1 კროოსი (18)

მადრიდის რეალმა საქმე გამოისწორა და ამაში ტონი კროოსის გოლი დაეხმარა. ზინედინ ზიდანის გუნდმა სტუმრად 1:0 სძლია გალათასარაის. ამით ზიდანი მოხსნას გადაურჩა, ხოლო მადრიდული გუნდი ბოლო ადგილს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 |
| 2.რეალი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| 3.ბრიუგე | 3 | 0 | 2 | 1 | 2:7 | 2 |
| 4.გალათასარაი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:2 | 1 |

### ბ ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი-ბაიერნი 2:3**

**პირეოსი. კარაისკაკისი**

1:0 ელ-არაბი (23), 1:1, 1:2 ლევანდოვსკი (34, 62), 1:3 ტოლისო (75), 2:3 გილერმე (79)

გაუჭირდა მიუნხენის ბაიერნს საბერძნეთში, მაგრამ მაინც მოუგო ოლიმპიაკოსს.

თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ რობერტ ლევანდოვსკიმ ჯერ პირველ ტაიმში გაათანაბრა, შემდეგ კი დუბლი შეასრულა და სტუმრები დააწინაურა. კორენტინ ტოლისომ ბავარიელთა უპირატესობა გაზარდა. თუმცა, ოლიმპიაკოსი არ დანებდა და გილერმემ სხვაობა შეამცირა. ეს იყო და ეს...

ლევანდოვსკის ანგარიშზე ჩემპიონთა ლიგაზე 58 გოლი დაგროვდა, რითიც ვან ნისტელროის გაუსწრო და 5 საუკეთესო ბომბარდირს შორის დამკვიდრდა.

**ტოტენჰემი-ცრ.ზვეზდა 5:0**

**ლონდონი. ტოტენჰემ ჰოთსპური**

1:0 კეინი (9), 2:0, 3:0 სონი (16, 44), 4:0 ლამელა (57), 5:0 კეინი (72)

შარშანდელ ფინალისტ ტოტენჰემს წელს საქმეები არცთუ კარგად მისდის და ამ ტურამდე ბოლო ადგილზე იმყოფებოდა. თუმცა, კეინისა და სონის შედეგიანობით შავი დღე აყარა ცრვენა ზვეზდას და მე-2 პოზიციაზე გადაინაცვლა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 13:4 | 9 |
| 2.ტოტენჰემი | 3 | 1 | 1 | 1 | 9:9 | 4 |
| 3.ცრ.ზვეზდა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:9 | 3 |
| 4.ოლიმპიაკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |

### ც ჯგუფი

**სიტი-ატალანტა 5:1**

**მანჩესტერი. ეტიჰადი**

0:1 მალინოვსკი (28პ), 1:1, 2:1 აგუერო (34, 38პ), 3:1, 4:1, 5:1 სტერლინგი (58, 64, 69)

**გაძევება:** ფოდენი (82, სიტი)

ატალანტა მანჩესტერ სიტისთან კი დაწინაურდა, მაგრამ ამით მხოლოდ „გააბრაზა“ მეტოქე. სერხიო აგუერომ პირველივე ტაიმში დააწინაურა მასპინძლები, ხოლო რაჰიმ სტერლინგმა 11 წუთში ჰეთ ტრიკი შეასრულა და სიტიმ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

**შახტარი-დინამო (ზ) 2:2**

**ხარკოვი. მეტალისტი**

1:0 კონოპლიანკა (16), 1:1 ოლმო (25), 1:2 ორსიჩი (60პ), 2:2 დოდო (75)

შახტარმა მე-2 ადგილისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი ზაგრების დინამო საკუთარ მოედანზე ვერ დაამარცხა – 2:2.

მოვლენები საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა: ჯერ შახტარი იგებდა, შემდეგ უკვე ზაგრებული გუნდი დაწინაურდა. მასპინძლები მარცხისგან შეცვლაზე შესულმა დოდომ იხსნა. ამ ფრემ მცირე შანსი ატალანტასაც დაუტოვა...

დონბასური გუნდის მცველი დავით ხოჭოლავა სათადარიგო იყო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| 2.დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| 3.შახტარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| 4.ატალანტა | 3 | 0 | 0 | 3 | 2:11 | 0 |

### დ ჯგუფი

**იუვენტუსი-ლოკომოტივი 2:1**

**ტურინი. ალიანც სტადიუმი**

0:1 მირანჩუკი (30), 1:1, 2:1 დიბალა (77, 79)

ჯგუფის ლიდერმა გამარჯვებას ბოლოსკენ მიაღწია. ლოკომოტივი ალექსეი მირანჩუკის გოლით დაწინაურდა და დიდი ხნის მანძილზე უგებდა მრისხანე მეტოქეს. იუვენტუსი კი პაულო დიბალამ გადაარჩინა, რომელმაც 2 წუთში დუბლი მიითვალა, საკუთარ გუნდს გამარჯვება მოუპოვა და ლიდერის პოზიცია შეინარჩუნა.

ამ მატჩმაც უქართველოდ ჩაიარა – ლოკომოტივის მცველი სოლომონ კვირკველია სათადარიგო იყო.

**ატლეტიკო-ლევერკუზენი 1:0**

**მადრიდი. ვანდა მეტროპოლიტანო**

1:0 მორატა (78)

გაუჭირდა მე-2 ფავორიტსაც – ატლეტიკომ შინაურ არენაზე დაძაბულ შეხვედრაში გაჭირვებით მოუგო უქულოდ მყოფ ლევერკუზენს – 1:0.

მატჩის ერთადერთი გოლი ალვარო მორატამ გაიტანა, რომელიც პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინაც ჩემპიონთა ლიგაზე გოლები ორივე მადრიდული გუნდის – რეალისა და ატლეტიკოს შემადგენლობაში გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| 2.ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 3.ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| 4.ლევერკუზენი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

**22 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრიუგე-პსჟ | 0:5 |
| გალათასარაი-რეალი | 0:1 |
| ატლეტიკო-ლევერკუზენი | 1:0 |
| იუვენტუსი-ლოკომოტივი | 2:1 |
| ოლიმპიაკოსი-ბაიერნი | 2:3 |
| ტოტენჰემი-ცრ.ზვეზდა | 5:0 |
| სიტი-ატალანტა | 5:1 |
| შახტარი-დინამო (ზ) | 2:2 |

# ბასილაშვილმა ვენის ტურნირზე პირველივე მატჩი წააგო



ნიკოლოზ ბასილაშვილი ვენის საერთაშორისო ტურნირის პირველივე წრეში ესპანელ ფერნანდო ვერდასკოსთან 3 სეტში დამარცხდა – 6:4, 2:6, 1:6.

თამაში საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. არადა, ჩვენებურმა კარგად დაიწყო და პირველ სეტში, 4:4-ზე შეძლო 35 წლის ესპანელის მოწოდების მოგება.

თუმცა, ამის მერე ბასილაშვილმა ძალიან ცუდად ითამაშა: მეორე სეტში, 1:2-ზე ნიკამ საკუთარი მოწოდება დაკარგა. ვერდასკომ ქართველის მოწოდება სეტის ბოლოსაც მოიგო – 2:6.

გადამწყვეტ სეტში ნიკა კვლავ 1:2-ზე წაფორხილდა და კვლავ დათმო საკუთარი მოწოდება. შემდეგ კიდევ ერთხელ და სეტი იოლად დათმო.

ვერდასკომ 6 ეისი ჩააწოდა, ბასილაშვილმა – 4. ესპანელს ორმაგი შეცდომა საერთოდ არ დაუშვია, ქართველი იგივე კომპონენტში 4-ჯერ შეცდა.

## კალეიდოსკოპი

# 14 მეტრის სიმაღლიდან გადავარდნილი მოტოციკლისტი ცოცხალი გადარჩა




ამერიკის მისურის შტატის ქალაქ კანზას-სიტიში 31 წლის მოტოციკლისტი გზაზე ბეტონის წინაღობასთან შეჯახების შემდეგ ცოცხალი გადარჩა.

მამაკაცი კავასაკის ფირმის მოტოციკლით სამხრეთისკენ გზაზე მიდიოდა. მოულოდნელად მან მართვა დაკარგა და ბეტონის წინაღობას დაეჯახა, რომელიც გზის გასწვრივ იყო დადგმული.

მოტოციკლისტი შეჯახების შედეგად 14 მეტრის სიმაღლის ესტაკადიდან გადავარდა. მან მრავლობითი მოტეხილობები მიიღო და საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

მამაკაცმა სერიოზული დაზიანებები მიიღო, თუმცა, ექიმების თქმით, ის გადარჩება. იმ მიზეზის შესახებ, რის გამოც მოტოციკლისტმა სატრანსპორტო საშუალების მართვა დაკარგა, არაფერია ცნობილი.

# მძინარე ძაღლმა ლეოპარდისგან თავის დაღწევა მოახერხა




ინდოეთის მახარაშტრას შტატის ქალაქ ნასიკში ლეოპარდი თავს დაესხა ძაღლს, რომელსაც სახლის კართან ეძინა.

აღნიშნული შემთხვევა სათვალთვალო კამერამ გადაიღო. მტაცებელი ცხოველი ძაღლს დაახლოებით ღამის სამ საათზე მიეპარა და კბილებით კისერში ჩააფრინდა, მაგრამ გამოღვიძებულმა მისგან თავის დაღწევა მოახერხა და ყეფით გვერდით გახტა.

ძაღლის პატრონებმა მომხდარის შესახებ მხოლოდ მეორე დილით გაიგეს. იმ დროისთვის ლეოპარდმა ტყისთვის თავის შეფარება მოასწრო. სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა გარშემო ტერიტორია გაჩხრიკეს, თუმცა ლეოპარდმა მათგან თავის დაღწევა მოახერხა.

# მშიერი დათვი ქალაქში შეიჭრა და ოთხი ადამიანი დაასახიჩრა




იაპონიის ნიიგატოს პრეფექტურის ქალაქ უონუმაში დათვმა სერიოზული დაზიანებები მიაყენა ოთხ ადამიანს.

მტაცებელი ცხოველის თავდასხმის შედეგად, რომელიც ქალაქის საცხოვრებელ რაიონში მოხდა, სამი ქალი და ერთი მამაკაცი დაშავდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი დაშავებული ქალის მდგომარეობა მძიმეა.

მიმავალი მანქანის ვიდეორეგისტრატორის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ დათვი ავტოფარეხის იატაკზე დაგდებულ მსხვერპლს თავს ანებებს და ქუჩაში გამორბის. მანქანის მძღოლის თქმით, ცხოველმა ბრჭყალებით მისი მანქანა დაკაწრა და გაიქცა.

მისივე თქმით, დათვის სიგრძე მინიმუმ 1,5 ნახევარი იქნებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ზოგჯერ ამ ცხოველებს ქალაქის შემოგარენში ხედავდნენ, თუმცა აქამდე ისინი უონუმის საცხოვრებელ რაიონებში არ შემოსულან.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე ნიიგატოს პრეფექტურაში დათვების ადამიანებზე თავდასხმის ხუთი ფაქტი დაფიქსირდა. 25 სექტემბერს მტაცებელმა სერიოზული დაზიანებები მიაყენა სპორტსმენს, რომელიც ქალაქ მინამიუონუმის ქუჩაში დარბოდა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ დათვმა დაკბინა მამაკაცი, რომელიც თავის სახლთან გაჩერებულ მანქანაში ჯდებოდა.

დათვების გახშირებული თავდასხმები შესაძლოა საკვების ნაკლებობით იყოს გამოწვეული. საკვების ძებნაში მთებიდან მსხვილი მტაცებელი ცხოველები ჩამოვიდნენ და მათ შეავიწროვეს უფრო ახალგაზრდა თანამოძმენი, რომლებმაც, თავის მხრივ, ქალაქებსა და მის შემოგარენში გადაინაცვლეს.

# მუშებმა კოლეგა პითონისგან იხსნეს



ინდოეთის კერალას შტატის ქალაქ ტრივანდრუმში პითონი შეეცადა, გაეგუდა მუშა, რომელიც ადგილობრივი კოლეჯის ტერიტორიის დალაგებით იყო დაკავებული.

მსხვილი პითონი 58 წლის ბხუვანაჩანდრანა ნაირს კისერზე შემოეხვია, მაგრამ ეს კოლეგებმა დროულად შენიშნეს და დასახმარებლად მისცვივდნენ.

ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ტვიტერში გამოქვეყნდა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, როგორ უჭირავს ერთ მამაკაცს გველი კისრით, ხოლო – მეორეს მისი კუდი. მათ წარმატებით მოახერხეს კოლეგის გადარჩენა. როდესაც მუშებმა კოლეგას გველი კისრიდან მოხსნეს, ის ჩანთაში მოათავსეს და სატყეო მეურნეობის სამსახურის თანამშრომლებს გადასცეს.

ბუნების დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა პითონი მოშორებით, ტყეში წაიყვანეს და გაუშვეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები



### ნათელა შურღაიას გახსენება

ჩვენო საყვარელო დედა!

ძალიან მძიმე და აუტანელია ჩვენთვის უშენოდ გატარებული სამი წელი. მუდამ ვილოცებთ შენი სულისათვის, რათა ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში.

არასდროს დაგივიწყებს შენი ოჯახი.

*მზია და ანზორ ხარბედიები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჭაობში მზარდი მწერიჭამია მცენარე; 2. ბაბილონის მეფე, კანონთა უძველესი კრებულის ავტორი; 3. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 4. გადასახადებისგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 5. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 10. ფრანგული პური; 11. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 12. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 13. შავი ზღვისპირა ბალნეოლოგიური კურორტი ბულგარეთში; 16. ერთ-ერთი კონტინენტი; 17. ღვინის სპირტი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ევროპაში; 21. მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი ფრანგი მათემატიკოსი; 23. ხეზე ან ლითონზე რელიეფურად ამოკვეთილი სურათის, ნახატის ან ნახაზის ანაბეჭდი.

**თარაზულად:** 6. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 7. ქართული ტელეკომპანია; 8. იტალიური მსუბუქი ავტომობილი; 9. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 14. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 15. ეგეოსისა და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 18. ვაშლის ღვინო; 20. სიმდიდრის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 22. მძლავრი სტიქიური მოვლენა; 24. პატარა მოთხრობა; 25. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 26. ხორბლის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ნაპოლი; 2. ლაკი; 3. სეფედროშა; 4. ჰალვა; 5. ბიონიკა; 8. საჰარა; 9. ბულდოზერი; 12. ევროპა; 14. ლეკები; 16. ივერი.

**თარაზულად**: 1. ნაფტალინი; 6. წეროვანი; 8. პარსეკი; 9. ბოჰემა; 10. ბახი; 11. მარტელი; 13. პოლკა; 15. ავღანი; 17. საიგაკი; 18. კორიფე; 19. ბომბეი; 20. ლიზინგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბარძიმი; 2. ბალატონი; 3. ამეთვისტო; 4. ლომბერი; 5. ნინოწმინდა; 10. აწყური; 11. ფელამუში; 12. იროკეზი; 13. ბოლივია; 16. ქამელეონი; 17. სემინარი; 19. ასკანელი; 21. ბორდო; 23. ბჟუჟი.

**თარაზულად**: 6. ბარბარიზმი; 7. როკფორი; 8. ჯიბუტი; 9. ავღანეთი; 14. ფოცხვერი; 15. გეოთერმია; 18. კაშია; 20. ლეჩხუმი; 22. ბაბუინი; 24. კოპალა; 25. ბოლივუდი; 26. ბეჟარი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 ოქტომბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9661

ევრო — 3.2965

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8186

100 რუსული რუბლი — 4.6653

## ამინდის პროგნოზი 24 ოქტომბერი







## 16 ოქტომბრიდან

გიორგი კოკოშაშვილი

**ქართული საბრძოლო ხელოვნება**

ჩვენი ღირსებანი

**ფასი გაზეთთან ერთად 18 ლარი**

## 5 ნოემბრიდან

საქართველოს ისტორია პატარებისთვის

**ბაზალეთისა ტბის ძირას**

წიგნი III

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




## ნინო სურგულაძე დაავადებული ბავშვებისთვის კონცერტს გამართავს



ოპერის მომღერალი ნინო სურგულაძე მძიმედ დაავადებული ბავშვებისთვის საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

მის მიერ დაარსებული საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ნატვრის ხე" 9 ნოემბერს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებს.

მასში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ვარსკვლავები. კონცერტზე მოგროვილი თანხით კი იმერეთის რეგიონში მცხოვრებ მძიმედ დაავადებულ პატარებს დაეხმარებიან, რომლებსაც საზღვარგარეთ მკურნალობა ესაჭიროებათ.

## მსახიობი ლამზირა ჩხეიძე 90 წლის გახდა



რუსთაველის თეატრის უხუცესი მსახიობი ლამზირა ჩხეიძე 90 წლის გახდა.

თეატრმა იუბილარ ხელოვანს დაბადების დღე გამორჩეულად მიულოცა.

იუბილარმა მსახიობმა რუსთაველის თეატრში მუშაობა 1952 წელს დაიწყო და ამ თეატრის სცენაზე განასახიერა მრავალი მნიშვნელოვანი როლი.

ათეული წლების განმავლობაში ლამზირა ჩხეიძემ გამორჩეულ ქართველ რეჟისორებთან იმუშავა და გახმაურებულ სპექტაკლებში მიიღო მონაწილეობა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 24 ოქტომბრისათვის

**ვერძი** — ახალგაცნობილ ადამიანთან ურთიერთობას ერიდეთ. ეძიეთ შემოსავლის განსხვავებული წყარო. **კურო** — ხელმძღვანელობასთან საკუთარ პრინციპებს ნუ დაიცავთ. ინტუიციას მიენდეთ. თავმდაბლად იმუშავეთ. **ტყუპები** — საოჯახო საქმეების მოწესრიგება დღესვე დაიწყეთ. ერიდეთ კამათს უფროსობასთან. **კირჩხიბი** — ზედმეტ დატვირთვასა და ახალი საქმის დაწყებას ვარსკვლავები გიკრძალავენ. კარგი იქნება, თუ საღამოს ახლო მეგობრებთან ერთად გაატარებთ და მოდუნდებით. **ლომი** — კრიტიკული დღეა. კონტაქტები შეამცირეთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** — განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ბუნების წიაღში გასეირნება და მცირეოდენი ფიზიკური ვარჯიში დადებითად წაგადგებათ. **სასწორი** — პასიური დღეა. დაწყებული საქმის დამთავრება გაგიჭირდებათ. მეგობრების რჩევები გაითვალისწინეთ. **ღრიანკალი** — საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. დაშვებული შეცდომები რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროთ. **მშვილდოსანი** — შორს გამგზავრებას ერიდეთ. ნერვებს გაუფრთხილდით. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **თხის რქა** — საქმიანი შეხვედრები, ასევე ყოველდღიური სამუშაო დაგქანცავთ. დრო გამოყავით სულიერი და ფიზიკური ძალების აღსადგენად. **მერწყული** — დღის დადებითი ტენდენციები მძლავრობს. შესაფერისი პერიოდია ახალი ფინანსური გარიგებებისათვის. **თევზები** — სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე დაუყოვნებლივ მიმართეთ სპეციალისტს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ინტერნეტში ერთი ქალი მეორეს სწერს:

– ძვირფასო, თქვენ ისე ხშირად შემოდიხართ ჩემს გვერდზე, რომ ვერ ვხვდები, ჩემი მეუღლის საყვარელი ხართ თუ ჩემი საყვარლის მეუღლე?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენია, მფრინავი თეფში არასდროს მინახავს.

– შენც ადექი და ცოლი მოიყვანე!

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რამდენი იქნება ათჯერ ასი გრამი?

– ლიტრი.

– ჰოო! მთელ მსოფლიოში ეს კილოგრამს ნიშნავს და მხოლოდ რუსეთში ნიშნავს ლიტრს.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– რას ფიქრობ, ჩვენი მოსაწყენი ცხოვრების გამოსაცოცხლებლად ერთმანეთისთვის ხომ არ გვეღალატა?

– აზრი არ აქვს.

– რატომ?

– ეგ უკვე ვცადე...

●●●

ქალი მამაკაცს ეუბნება:

– მე ორშვილიანი მარტოხელა დედა ვარ, მაგრამ ეს უფრო მაძლიერებს!

– და არ გინდა, რომ სამშვილიანი მარტოხელა დედა გახდე? წარმოიდგინე, კიდევ უფრო როგორი ძლიერი იქნები...

●●●

მამაკაცს ეკითხებიან:

– თქვენი დამოკიდებულება ალკოჰოლის მიმართ, ერთი სიტყვით შეგიძლიათ?

– დავლევ!

●●●

ერთი მამაკაცი მეორეს ეუბნება:

– ბავშვობაში ვკითხულობდი ამ წიგნს და ბევრი რამ ჩემთვის გაუგებარი იყო. ახლა კი ვკითხულობ და ყველაფერს სულ სხვაგვარად აღვიქვამ. რა უტვინო ვიყავი, ყველაფერი ხომ ისე ადვილია, როგორც ორჯერ ორი რომ ოთხია.

– ბიჭო, გეყოფა პირველი კლასის მათემატიკის წიგნის ფურცვლა და მოდი, იმუშავე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ზინედინ ზიდანი: „3 ქულა დავიმსახურეთ"



მადრიდის რეალმა ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში სტუმრად გალათასარაის მოუგო ანგარიშით 1:0 და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

რეალის მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ რეალმა გამარჯვება დაიმსახურა და უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოეგო:

– თამაშის სადავეებს სრულიად ვაკონტროლებდით და მეტოქეს არაფრის შექმნის საშუალება არ მივეცით. მეორე ტაიმში კიდევ რამდენიმე გოლი უნდა გაგვეტანა, მაგრამ მთავარი შედეგია. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში მოვიგეთ.

## გვარდიოლამ რაჰიმ სტერლინგი შეაქო



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ თავის ფეხბურთელზე რაჰიმ სტერლინგზე ილაპარაკა და თქვა, რომ სტერლინგი ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე და ის მისი თამაშით აღფრთოვანებულია:

– როდესაც სტერლინგს მოედანზე ვხედავ, ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს და ბედნიერი ვარ, რომ ის ჩემს გუნდში თამაშობს. ატალანტასთან მან შესანიშნავად ითამაშა და მეტოქეს სამი გოლი გაუტანა. ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

## ბარსელონას ლაუტარო მარტინესის ყიდვა სურს



ბარსელონა ინტერის ფორვარდით ლაუტარო მარტინესით დაინტერესდა, რომელიც ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და უკვე ბევრი გუნდის ყურადღება მიიპყრო.

მარტინესმა ასევე ძალიან კარგად იასპარეზა წლევანდელ კოპა ამერიკაზე, სადაც ის არგენტინის ნაკრებში საუკეთესო იყო.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ მარტინესის ბარსელონაში ხილვა ძალიან სურს ლიონელ მესის, რომელმაც განაცხადა, რომ ლაუტარო ამჟამად ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე.

ინტერი მარტინესს ძვირად აფასებს და მასში მინიმუმ 100 მილიონს ითხოვს.

## ბარსელონა-რეალი 18 დეკემბერს გაიმართება




ბარსელონასა და რეალის დაპირისპირება 18 დეკემბერს გაიმართება. ეს თარიღი უკვე ოფიციალურია, მაგრამ არ არის გამორიცხული, კიდევ რამე შეიცვალოს.

ელ კლასიკო 26 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ ბარსელონაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო შეხვედრა გადაიდო.

კატალონიის დედაქალაქში საპროტესტო აქციები მიმდინარეობს რამდენიმე კატალონიელი პოლიტიკოსის დაკავების გამო. უსაფრთხოების პრობლემების გამო შეხვედრის გამართვა ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

## კილიან მბაპე: „როგორც იქნა, ტრავმა მოვიშუშე"




პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ბრიუგესთან შესრულებული ჰეთრიქის შემდეგ განაცხადა, რომ ის ტრავმისგან ბოლომდე გამოჯანმრთელდა და სურს, რომ ყველა შეხვედრაში გაიტანოს გოლი. მბაპეს აზრით, პსჟ-ს შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება: „ძალიან მიხარია, რომ ტრავმა აღარ მაწუხებს და მაქვს საშუალება, გულშემატკივარი ჩემი თამაშით გავახარო. პსჟ-ს წინა წლებში ძალიან არ უმართლებდა და იმედი მაქვს, რომ წლევანდელ სეზონში ყველაფერი სხვაგვარად იქნება".

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ლიზა ყენიამ პირველი ვიდეორგოლი გადაიღო



მომღერალმა ლიზა ყენიამ თავის შემოქმედებით კარიერაში პირველი ვიდეორგოლი გადაიღო.

მომღერალი გადაღებებით კმაყოფილია და შემოქმედებითი ჯგუფის თითოეულ წევრს გულითად მადლობას უხდის:

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღე დასრულდა! ძალიან წარმატებით, ემოციებით და სიამაყით სავსე ვარ, რომ შევძელით შეგვექმნა ჩემი პირველი ვიდეო კლიპი, რომელიც მთელი სიყვარულით ვეცადე შემექმნა! ულრმესი მადლობა თითოეულ მათგანს, ვინც ჩემს გვერდით იდექით ბოლომდე. ვერც ჩამოვთვლი სათითაოდ, რამდენი უმაგრესი ადამიანი მყავხართ გვერდით. კლიპს კი ძალიან მალე იხილავთ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ძვირფასი ლითონების მიღების მეტალურგიული პროცესი; 2. ქერის პური; 3. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 4. ავტოდრომი იტალიაში; 5. სვანური ციხე-კოშკი; 7. თემურ ბაბლუანის მხატვრული ფილმი; 11. ძალზე მტკიცე ქიმიური ელემენტი, მეტალი; 15. ირანელი ჯარისკაცი; 16. აეროპორტი პეკინში; 17. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 18. უსქესოდ, ვეგეტაციურად წარმოქმნილი შთამომავლობა; 20. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო სპოროვანი მცენარე; 22. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში.

**თარაზულად:** 6. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი; 8. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 9. შუამავალი ბირჟაზე; 10. აზოტმჟავას მარილი; 12. ბარიტის საბადო რაჭაში; 13. ზღვა რუსეთ-უკრაინის სანაპიროსთან; 14. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 19. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 21. უნგრელი პოეტი; 23. პოეტური ქმნილება; 24. პურეული მცენარე; 25. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, ცეცხლგამძლე საიზოლაციო მასალა; 26. შტატი აშშ-ის დასავლეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*